695
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1972 წ.



# ჩემპიონი

ამ ხუთიოდე თვის წინათ ი. გაგარინის სახელობის ვილიანდისკის რაიონში საცდელ-საჩვენებელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მინდვრებში მიმდინარეობდა სსრკ შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

უჩვეულო ხალხმრავლობა იყო იმ დღეს ვილიანდისკის რაიონში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 456 ადამიანი.

როცა ცნობილი გახდა, ახალგაზრდა მწველავთა შეჯიბრების შედეგი, მაყურებელი განცვიფრებული დარჩა ჩემპიონი გახდა 18 წლის კომკავშირელი, კოლმეურნეობა „ლემბიტუ"-დან (ვილიანდისკის რაიონი) ხელლე ხანსშმიდტი. რვა კლასის დამთავრების შემდეგ 1970 წელს ხელლამ მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. აქ მისი უფროსი დაც მუშაობდა. ორივენი ერთად უვლიდნენ მათზე გაპიროვნებულ ძროხებს. ნაყოფიერმა შრომამ შედეგიც მშვენიერი გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმღერისა და ცეკვის სახალხო დღესასწაული. (ლატვია).

ფოტო გ. იანაიტისის

ჟურნალში ქვეყნდება მასალები მოძმე ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებიდან

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად


„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვია არტმანე ფილმში „ედგარი და კრისტინა“. (ლატვია.)

# გახ-სოვს, დედა?

სიხარული ზეიმისა — ქარსა ჰგავს: არხევს და აშრიალებს მოგონებათა ტევრს. ჩვენი ხნიერი მამები ჰყვებიან განვლილი ბრძოლების ქარიშხალზე, დედები იგონებენ იმ სიძნელეებს, ცხოვრების გზაზე რომ შეხვდათ. ყველასა აქვს თავისი მოსაგონებელი, როგორც ტყეს თავისი სიმღერა. როცა მეზე ავწევ საზეიმო ჭიქას, — გავიხსენებ 1940 წელს. ამ წელს ბურჟუაზიულ ლატვიაში პირველად გავიგონე სიტყვა — საბჭოთა კავშირი!

...ჩვიდმეტი წლისა რომ გავხდი, ლატვიაში ფაშისტური ჩექმები დააბიჯებდნენ... იმ დილით დედამ ძროხა ჩამოწველა. კონსერვის ქილა აიღე, მინდოდა მენახა ჩემი წილი რძე. ქილა დამივარდა, თუნუქის ძირი აძვრა და იქიდან სველი ბარათი გადმოვარდა: „არ ვიცი წაიკითხავთ თუ არა ამ წერილს. როგორ ცხოვრობთ? ჩემზე ნუ იდარდებთ, ესაა მხოლოდ, რომ დღედაღამ თავი მტკივა. დედიკაცო, ვიცი გიჭირს, მაგრამ როგორ დაგეხმარო? მაინც ეცადე, აიას სკოლა დაამთავრებინე. ანდრიასს კი რას მოუხერხებ?! მწყინს, რომ ჩემი ხელობა ვერ ვასწავლე. ლუკმაპური მაინც ექნებოდა. რა ვქნა, ვერ მოვასწარი...“

ეს იყო ციხიდან გამოგზავნილი ბარათი მამისა. მერე კიდევ მივიღეთ ერთი წერილიც — სალასპილის საკონცენტრაციო ბანაკიდან. ეს იყო და ეს, მეტი აღარაფერი ვიცით.

გახსოვს, დედა? რა მაგრად კუმავდი ტუჩებს, რომ არ გეტირა. მუჭში პურის ნატეხს მიდებდი, და ისე მგზავნიდი სკოლაში. არა, შენ მაშინ ტირილისათვის არ გეცალა. მტკიცედ და ჯიუტად იდექი ცხოვრების გზაზე. ეგ სიჯიუტე მეც შენგან გამომყვა. გახსოვს, რა დაბეჯითებით ვემზადებოდი ელგავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოსახვედრად? ეს იყო ბურჟუაზიული ლატვიის ბოლო, უკანასკნელი წელი. ერთ დღეს ძროხას ვმწყემსავდი. დიასახლისმა დაცინვით გადმომხედა და მითხრა — დაყარე შენი წიგნები, შენ რომ ისწავლო, ვინღამ უნდა იმუშაოს?... ელგავაში კი ასე მითხრეს: „გამოცდები კარგად ჩააბარე, მაგრამ მაინც ვერ მიგიღებთ — შენს მშობლებს უძრავი ქონება არ გააჩნიათ“. და მაინც არ დავყარე წიგნები. შემდეგ... მოვიდა ათას ცხრაას ორმოცი წელი... იმ წელს, ივნისის თვეში გაისმა სიტყვა „ომი“. შენ გადაფითრდი. დედილო, მაშინ რამდენი წლისა ვიყავი, გახსოვს? ჩვენ წავიყვანეთ ბაზარში ჩვენი ბებერი ძროხა. გავყიდეთ და სამი პალტო შევიძინეთ: ჩემთვის, უფროსი დისათვის, და შენთვის. ეს იყო ჩემი პირველი პალტო. ო, როგორ ვვაჭრობდით მაღაზიაში, როგორ ვიმტვრევდით თავსა და როგორ ვთვლიდით ჩვენს ლატებსა და სანტიმებს. სკოლაში ჩუ-

მალ ვჭამდი პურის ნატეხს, რათა მდიდრის შვილებს არ დაენახათ ჩემი ღარიბი ლუკმა. მერე სახლამდე ექვსი კილომეტრი მქონდა გასავლელი. მე არა ვდრკებოდი. შენეული დაბეჯითებით გამქონდა თავი. ოღონდ, ხშირად ვწითლდებოდი — ეს მაშინ, როცა მამცირებდნენ, და ჩემს სანაცვლოდ მდიდრის შვილებს აქებდნენ.

დედი, გახსოვს? როგორ გამაცილე მდიდარი მებატონის სამწყემსურში? რა დაღონებული იყავი მაშინ. მაგარი, ჯანმრთელი გოგონა ვიყავი და როცა შუადღისას კრაზანებთან „ნაბრძოლი" და დაკაწრული სამწყემსურიდან ძროხებს მოვდენიდი, კიდევ ვახერხებდი დიასახლისის უქნარა გოგოს გართობას. ამისათვისაც კი მლანძღავდა ქალბატონი — მეუბნებოდა, რომ თავი ათასგვარი სისულელით მაქვს გამოტენილი. მოვიდა შემოდგომა. ბატონის შვილები სკოლაში გაგზავნეს. მე კი წვიმებში დავდევდი საქონელს. აი, მაშინ დავწერე სწორედ ჩემი პირველი ლექსი, შენ წაიკითხე და ატირდი.

დედა, გახსოვს? ომის დროს როგორ წუხდებოდი წელში, როგორ ჩასცქეროდი მიწას, როგორ შრომობდი, რომ ჩვენ გვესწავლა და თიბათვიდან შემოდგომამდე ცარიელ კარტოფილსა და სოკოზე გადადიოდი. და მაინც რა ხშირად იღიმებოდი, რადგან იმ ხანად უკვე იცოდი, რომ შენ, რომ ჩვენ, ადამიანური ღირსება დაგვიბრუნეს. და ამ ღირსებით შენ მდიდარი შეიქმენ. უკვე ვერავინ გეტყოდა: „რაო, რათ ასწავლი შენს შვილებს სკოლაში? ღატაკს რა უფლება აქვს სიამაყისა?..."

ო, რა ბედნიერი ვარ, როცა ჩემი ჩვიდმეტი წლის გოგონა რწმენით უცქერს მომავალს. მას არ სმენია მძულვარებით სავსე სიტყვები. ჩვენც, ჩვენც მივაღწიეთ ჩვენსას, დედილო, ორივე დამ უმაღლესი განათლება მივიღეთ. აი, ამისათვის გმადლობთ, დედი. ამით მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც იმ წლებში დაღვარა სისხლი და ოფლი. მადლობა მამასაც, ვისი ერთგული ამხანაგიც შენ იყავი, მარად და მარად.

დღეს, იმ მდელოზე, ოდესღაც ბატონს რომ ეკუთვნოდა, ჩვენ კარავი გავშალეთ. მასზე ხომ სამკურნალო ბალახსაც არ გვაკრეფინებდნენ, რათა გაგვეყიდა და ორიოდე გროში გვეშოვა... ჩემი გოგონა ალტაცებით დარბოდა და ცისფერ ღიღილოებს კრეფდა. მან არაფერი იცის ჩვენი ნაღვლიანი მოგონების შესახებ. იგი აქ სრულუფლებიან მებატონედ გრძნობს თავს.

წასვლის დრო მოვიდა. ავკრიფეთ ჩვენი კარავი, ჩავაქრეთ კოცონი. გოგონამ გადაგდებული ქალამდი აიღო, ერთხელ კიდევ გადახედა მინდორს და კმაყოფილმა თქვა: „ახლა ყველაფერი წესრიგშია".

დედა, მე და შენ ერთმანეთს გადავხედეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. საკვირველი ქმნილებაა ადამიანი — ადამიანები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს.

ვ. ბრაჟბულე

დაუგავპილის სინთეტიური ბოჭკოს კომბინატი (ლატვია).

ფოტო ა. ილინასი.





მხატვარი ქალი ბერუტია ჟილიტე მეუღლით ალგირდასით და ქალიშვილით დაინათი

# ტყუპები

ბერუტია ჟილიტეს ილუსტრაცია საბავშვო წიგნიდან — „ზღაპარი მამაც ვილნიუსელ გოგონასა და მწვანე წვეროსან ყაჩაღზე“.



ბერუტია ჟილიტე და მისი მეუღლე ალგირდას სტეპანავიჩიუსი, მართლაც რომ ზღაპარში ცხოვრობენ. ოღონდ მათი ზღაპრების გმირები გაცოცხლებულნი არიან თითქოს. მათ ზღაპრებში ხის ფოთლები ლაპარაკობენ, ზღვის ფსკერზე სასახლეები აღმართულან.

ამიტომაც იყო, რომ მათმა ნამუშევრებმა ბრატისლავაში, სადაც ყოველ მეორე წელს ეწყობა საბავშვო წიგნების ილუსტრაციების კონკურსი, სათანადო ჯილდოები დაიმსახურა.

პირველი კონკურსი 1967 წელს მოეწყო. მასში მონაწილეობდა 25 ქვეყნის 200-ზე მეტი მხატვარი, რომელთაც კონკურსზე 200-ზე მეტი ნამუშევარი წარმოადგინეს. მაშინ ალგირდას სტეპანავიჩიუსმა ჯილდოდ განკუთვნილ 5 ოქროს ვაშლიდან ერთი დაისაკუთრა.

ბერუტია მეუღლეს არ ჩამორჩა და 1969 წელს გამართულ კონკურსში, ბრატისლავიდან, მანაც ზუსტად ისეთივე ოქროს ვაშლი ჩამოიტანა. ტყუპის ცალივით გვანან ეს ვაშლები ერთმანეთს. მხოლოდ თარიღით თუ განასხვავებ.

არც ლაიპციგში გამართულ კონკურსზე ჩამორჩნენ ერთმანეთს. პირველად ალგირდასმა მიიღო ოქროს მედალი ჩვეულებრივ, შემდეგ ბერუტიამ.

ორი ოქროს ვაშლი ერთ ოჯახში, ორი ოქროს მედალი. ისინი ლაპარაკობენ ამ ორი ადამიანის, ამ ორი, დიდი მხატვრის შემოქმედებითს სიახლოვესა და საერთო ინტერესებზე.

ამ ოჯახში მესამე გრაფიკოსიც იზრდება. მათი ქალიშვილი, დაინა, ვილნიუსის სამხატვრო ინსტიტუტის სტუდენტია.

ბერუტია და ალგირდასი ამჟამად მუშაობენ ვალკინინასის რესპუბლიკური საბავშვო სანატორიუმის — „პუშიალეს“ ფრესკაზე. ეს იქნება ნაძვნარში ჩადგმული დიდი, მოდერნიზებული, იშვიათი სილამაზის ნაგებობა. ფართო, ნათელი დერეფნის კედლები მოხატული იქნება ამ მხატვართა ფრესკებით.

აქ იცხოვრებენ და იმკურნალებენ ბავშვები. იცხოვრებენ როგორც ზღაპარში. მშვენიერებით გარშემორტყმულ ეს 200 კვ. მეტრის ფრესკა პატარებისათვის დიდი საჩუქარია. იგი მათ გაამხიარულებს და გაართობს.

დავინტერესდი.

— თითოეული თქვენთაგანი ცალცალკე ქმნის ფრესკას?

— არა. ორივე ერთად ვმუშაობთ. ერთად ვთათბირობთ.

— ეს ასე, მაგრამ ხომ არის შემთხვევა, როცა განსხვავებული აზრი გაქვთ. ან საერთოდ...

ალგირდას სტეპანავიჩიუსი მიმიხვდა და მითხრა:

— როგორც ყოველთვის, „მბრძანებლობს“ ქალი.

მივხვდი, რომ ეს ფრაზა მხოლოდ და მხოლოდ ღიმილით იყო ნათქვამი. მათი ინტერესები და გემოვნება მსგავსია, ერთად აკეთებენ საერთო საქმეს. ისინი ყოველთვის ერთად არიან. მეგობარი მეგობრის ხელს გრძნობს მახლობლად. ერთმანეთის ნამუშევარი ახარებთ. საოჯახო საქმეებშიც ერთმანეთის გვერდით დგანან. ერთმანეთს ეხმარებიან. ერთმანეთს უზიარებენ აზრებს.

ცხოვრობენ წყნარად და ბედნიერად და თავიანთი შრომით უამრავ პატარას ახარებენ. მათ მიერ ილუსტრირებულ წიგნს ამჟამად გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „პროგრესი“.

ბერუტია ჟილიტეს ყველაზე დიდი ნამუშევარი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოცემული ა. ლიობიტეს წიგნია: ზღაპარი მამაც ვილნიუსელ გოგონასა და მწვანეწვეროსან ყაჩაღზე მხატვარს მოუხდა გამოესახა დრამატული სიტუაციები და ხასიათები.

მათ ბევრი ზღაპარი იციან და თავიანთი ილუსტრაციებით ლამაზსა და მიმზიდველს ხდიან ბავშვურ სამყაროს.

ა. ბალტრუნიენე,

---

1 ვალკინინკასი — დასასვენებელი ადგილის დასახელება.

2 პუშიალე — ნაძვნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე ტყის დიასახლისი



მან მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა 1951 წელს, ამიტომაც მაშინვე შეეძლო უგამოცდოდ შესულიყო ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ, როცა ადამიანს ბავშვობიდანვე მხოლოდ ერთად-ერთი მიზანი აქვს, სხვა გზას არ აირჩევს და ალბინა ბანიკიენემ საბუთები ლიტვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მეტყევეობის ფაკულტეტზე შეიტანა. შეეცადნენ გოგონასათვის გადაეთქმევინებინათ: ახლახან გაიხსნა მერძევეობის ფაკულტეტი, იქ შედი, მართალია კონკურსი დიდია, მთელი მდედრობითი სქესი იქ მიაწყდა, მაგრამ შენ ხომ კონკურსი ხელს არ გიშლის. ტყეში რა გინდა, გოგო, დაიკარგები! ვერ გადაათქმევინეს. ალბინამ ინსტიტუტი დაამთავრა და მიიღო მეტყევე ინჟინრის დიპლომი. მუშაობა დაიწყო მეტყევის მოადგილეობით.

ამჟამად ალბინა ბაიკიენე პანევეჟის რაიონის ტყის მეურნეობის მთავარი მეტყევეა. ეს ტყე 15 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული. ალბინა ერთადერთი მთავარი მეტყევე ქალია მთელს რესპუბლიკაში.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ მეტყევის საზრუნავი მხოლოდ გეგმის შესრულებით მთავრდება—ძალიან ცდება. დარგო იმაზე მეტი, ვიდრე მოჭრილია, დაიცვა პატარა მარცვალი, როცა იცი, რომ იმ მცენარეების ნახევარს, რომელიც ამ მარცვლებიდან წამოიზრდება, მხოლოდ მომავალი თაობები ნახავენ — დიდი საქმეა!

ცხოვრობს ბაიკიენე კანტორის გვერდით მდგომ ორსართულიან სახლში. შესასვლელში გარეული ღორის ტყავი აფენია, ოთახში კედელზე ბავშვის სიმაღლეზე კიდია ირმის რქები, რომლებზეც პატარა გოგონა თავის ტანსაცმელს, თოჯინას მორთულობასა და დათუნიას ქუდს კიდებს.

— იპოვნეთ? — ვანიშნებ თვალებით რქებზე.

ამ ათი წლის წინათ, როცა პირველად მოვედი ამ ტყეში, ერთი მეტყევისაგან ვიყიდე. რად ვარგა ისეთი მეტყევე ირმის რქები თუ არ უკიდია კედელზე-მეთქი, ვფიქრობდი მაშინ. მოგვიანებით კი მართლაც ვიპოვნე...

— ბევრი ირემია თქვენს ტყეში?

— არც თუ ისე ბევრი, მაგრამ ტყეს დიდ ზარალს აყენებენ. ისე გადატკვერენ ახალგაზრდა მცენარეს, თითქოს მაკრატლით გადაუჭრიათო. იმ დროს მათი რქებიც არასასიამოვნონი მეჩვენება.

— დედიკო, როდის დაბ-რუნ-დები? — ისმის სარკმელზე მომდგარი ბავშვის ხმა.

— დედიკო, წავიდეთ ტყეში, შენ კოშკზე აძვრები, ჩვენ კი მარწყვს მოვკრეფთ.

მაგრამ დღეს დედიკო ტყეში არ წავა. დღეს დედიკოსთან ანგარიშით წარსდგებიან მეტყევეები ექვსი დიდი ტყიდან. კოშკში კი, დარაჯი მორიგეობს.

ტყე ხვალინდელი დღისათვის ემზადება.

— ზაფხულია, ყოველ შაბათს და კვირას მოუსვენრად ვარ, ვერ ვიძინებ. მასობრივად დადიან ტყეში მუშა-მოსამსახურენი. წასვლის წინ ყოველთვის ერთსა და იმასვე ვთხოვ:

— არ დატოვონ ტყეში კოცონი, არ გადასწვან ტყე. საშინელებაა ტყის ხანძარი. ერთხელ ხანძრის ჩაქრობისას, ნაწნავებიც კი დამეწვა, მაგრამ პანევეჟელებზე ვერ გავნაწყენდი. მათი უმრავლესობა კულტურული ადამიანია, ტყეს უფრთხილდებიან.

— არასოდეს დაბნეულხართ ტყეში?

— როგორ შეიძლება საკუთარ სახლში დაიბნე, — იწყინა ალბინამ.

— როდისაა ყველაზე ლამაზი ტყე?

— წელიწადის ყველა დროს. იგი ყველა ადამიანს უგებს ხასიათს: თუ მხიარული ხარ, მოუსმინე, როგორი გამოძახილი აქვს შენს სიმღერას. თუ გული გტკივა, მაშინ თითქოს დედასავით გეჩურჩულება, გეალერსება და გამშვიდებს.

მართლაცდა რაღაცას ჩურჩულებდნენ ნაძვის კენწეროები.

დანუტე დიგრიენე

# ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

— ბავშვობაში, ჩემი საყვარელი სათამაშო ადგილი მანქანების სადგომი ეზო იყო. შევძვრებოდი მანქანის ჯიხურში და ვეხვეწებოდი: „მომეცი რა, ბიძია, მე წავიყვან". ამიტომაც, საშუალო სკოლა როცა დავამთავრე, მანქანას უკვე კარგად ვმართავდი.

ამასთან ერთად ძალიან მიყვარდა კერვა, ქსოვა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად პირველობა მაინც მათემატიკას მივანიჭე. ჰოდა, 1958 წელს კაუნასის პოლიტექნიკურ ინსტიტუში შევედი. ოცდაოთხი ბიჭი, მე და ერთი გოგო — ასეთი იყო ჩვენი საავტომობილო ფაკულტეტის კურსი, — ყვება ონუტე ლუკოშევიჩიენე.

— თქვენი სადისერტაციო თემა: „მანქანის მანევრირებისა და ავარიული შემთხვევების თავიდან აცილების საკითხი" — მიჩნეულ იქნა გაბედულ და ორიგინალურ თემად, რადგან რესპუბლიკაში სხვას არავის აურჩევია იგი. რატომ აირჩიეთ ასეთი თემა?

— გაზრდილ ავარიათა რიცხვმა ჩამაფიქრა, რადგან ამ ავარიათა მსხვერპლნი, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვები არიან. მე თვითონ პატარა ქალ-ვაჟის დედა ვარ. ასე დაიბადა აზრი, შევხებოდი ჯერ კიდევ ვაუტეხელ ყამირს საავტომობილო სპეციალობაში, გადავწყვიტე შემექმნა ბავშვის მანეკენი და ელექტრონული აპარატურა, რომელიც ძალიან ზუსტ ფიქსირებას მოახდენდა მძღოლის რეაქციისა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, ჩემს მიერ ინსცენირებული ავტოავარიის დროს. როცა სამუშაოდ ვილნიუსის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გადავედი. უკვე მქონდა გარკვეული პრაქტიკა. ხოლო ინსტიტუტში მუშაობისას იგი ყოველდღიურად მდიდრდებოდა. ჩემი დისერტაცია ცამეტი წლის დაკვირვებებისა და ცდების შედეგია.

— თქვენი ჰობი?

— მიყვარს ხელსაქმე, კარგი კონცერტი. ძალიან მიყვარს ფრანგული ენა და ყოველდღიურად ვმეცადინეობ, რათა დავხელოვნდე.

— გისურვებთ უახლოეს ხანში სადოქტოროც დაგეცვათ.

— იქნება თუ არ იქნება სადოქტორო, მთავარი ეს არაა. მეცნიერულ მუშაობას თავს არასოდეს დავანებებ. ძალიან მიყვარს თეორიული ცოდნის გამდიდრება, ექსპერიმენტირება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ექსპერიმენტები რისკთანაა დაკავშირებული. ამას წინათ „ავტომობილისტებმა" კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ვილნიუსის სამშენებლო ინსტიტუტში გადმოინაცვლეს და იქ ლექციების წასაკითხად ვარ მიწვეული. ახლა ამ სპეციალობის სტუდენტები მომრავლდნენ, სასიხარულოა, რომ მათ შორის ბევრი გოგონაა.

დანუტე დიგრიენე

მასალები ლიტვურიდან თარგმნა დალი გოგეშვილმა.



მხატვარი
სალმე
რაუნამი
ქალიშვილებთან
ერთად

# ჩიტები და იდეები



აი, ეს ხაეშები, ამოქარგული თუ ამოქსოვილი ჩვენი დიდედების მიერ... მათ ბევრი რამის მოყოლა შეუძლიათ ჩვენი დამონებული წინაპრების ტკივილებზე. ამ ძველი, ჩვენებური ამოქარგული ტანსაცმლით, ვით ხელოვნების საგანძურით, სავსეა ჩვენი სკივრები... სწრაფვა სილამაზისაკენ, მშვენიერებისაკენ დღეს უფრო მეტად გამოსჭვივის ჩვენს ყოფაში. ყოველი სამხატვრო გამოფენა ჩვენი ზეიმია, რადგან იგი ხალხის ნიჭიერებისა და ტალანტის სარკეა.

საიდან იღებს სათავეს რაუნამის ნაწარმოებები, მათი მშვენება? იმ სკივრებიდან, ისევ და ისევ იმ ხალხური საგანძურიდან. იგი ხომ რიიზეპერელი ღარიბი გლეხის ოჯახიდანაა. დღეს ტალინის გარეუბნის ერთ თავისებურ სახლში ორი შემოქმედი ცხოვრობს: სამხატვრო ინსტიტუტის პედაგოგი, პროფესორი ოსკარ რაუნამი და მისი მეუღლე დოცენტი სალმე რაუნამი. ჭერმაღალსა და ვრცელ სახელოსნოში ორივე გატაცებით მუშაობს: ქმარი მოლბერტთან დგას, ცოლი კი პატარა მაგიდაზე ჭედს სპილენძს. კედლებზე მრავლადაა სალმეს ჭედურობა. ეს რაღაც იშვიათი საგანძურია. სალმეს ვთხოვ მიჩვენოს სამუშაო ხელსაწყოები. აქ თითქოს არაფერია უჩვეულო: თუნუქის საჭრელი მაკრატელი და სპილენძის გამოსაჭედი ხისტარიანი ჩაქუჩი.

სალმე რომელიღაც ლურსმანს იღებს და მეუბნება, სწორედ ამ ინსტრუმენტით გამოვჭედე „ნაპირის ფრინველიო“. ...მერე სპილენძით დასვრილ ხელებს მიჩვენებს; ეს თითქმის იგივეა, რომ მწერალმა თავისი კალამი გიჩვენოთ. მე ისიც ვნახე, როგორ ამუშავებს სალმე სპილენძს. მაგრამ იდეა? როგორ იბადება იგი? ანდა შეიძლება ამის ახსნა?

სალმე რაუნამი კი უბრალოდ მიპასუხებს: ხშირად იდეას გარეგანი ფაქტორი და მომენტის ემოცია ბადებსო. ზოგჯერ თვით მასალა ბადებს ამ იდეას, ზოგჯერ რაიმე სახელწოდება, ან საყურადღებო ფრაზაო. აი, მაგალითად: მისმა ოთხი წლის გოგონამ, ლიინამ, გრძელი ბაფთები დახატა. ბოლოებში კი ჩიტები მიუხატა.

— მე მაშინვე სიხარულით გავიფიქრე: ჩიტები! რა ლამაზია! ესენი ხომ მშვიდობის მტრედები არიან!

აი, ამ ასოციაციიდან წარმოიშვა მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკული ნაწარმოები — „მერცხლები“.

მე ვზივარ მის წინ და ძალიან მინდა მითხრას, — როგორ ხდება, რომ იგი ძლიერი, მიწიერი არსება, ასეთ ჰაეროვან, თითქოს გასაფრენად მომზადებულ ასულებს ქმნის? მაინც როგორ ხდება?

— აბა, რა ვიცი, ხანდისხან მეც მიკვირს ხოლმე. ისინი მოდიან ჩემთან მუშაობისას, ჩემგან დამოუკიდებლად, — მეუბნება იგი.

სალმე რაუნამი ფიქრობს, რომ მისი ფიგურების გარეგნული მხარე განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: მცენარეთა ტოტები და ყვავილთა მოხაზულობა ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში თავსდება.

ასკილის ყვავილის მსგავსი ყვავილები მიწაზე, ფეხებთანაა განლაგებული. ზე ასვლისას ისინი უკვე თმებსა და სამოსელზე ლაგდებიან, მათ სამშვენისებად იქცევიან. არა, ეს სულაც არაა გამოგონილი ყვავილები. ისინი ჩვენი წინაპრების, დიდედების წინსაფრებიდან, მოსასხამებიდან და არახჩინებიდან გადმოვიდნენ, ოღონდ სრულიად ახალი ინტერპრეტაციით.

დიახ, მშვენიერება უფრო მეტად უბრალოა, და უფრო მეტად რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია...

— ნუთუ არასოდეს არ გბეზრდებათ მუშაობა?

— არა, დედაჩემი ამბობს, შენ ბავშვივითა ხარ, შრომა შენთვის თითქოს გართობააო.

ვკითხე — რამდენ საათს მუშაობთ დღეში-მეთქი? გამოირკვა: ოთხი საათი სამხატვრო ინსტიტუტში, სადაც იგი ლითონის მხატვრული დამუშავების კათედრაზე ასწავლის; ოთხი საათი შინ, შემოქმედებითი მუშობისათვის. დანარჩენი დრო საოჯახო საქმეს მიაქვს.

ვკითხე, როგორც ქალმა—ქალს — საოჯახო საქმე თუ გიყვართ-მეთქი!

— როდესაც შემოქმედებაში ხელს მიშლის, არა!

და მაინც რა შესანიშნავი დიასახლისის ხელი იგრძნობა აქ, რაუნამების მშვენიერ ბინაზე.

— როგორ გახდით მხატვარი?

— ძნელი, ძნელი გზა გავიარე.

მართლაც. სოფლელი გოგონა ესწრაფვოდა სწავლას. გერმანელების ოკუპაციის დროს ქალაქის სკოლის ბუფეტში ჭურჭელს რეცხავდა და ასე დაამთავრა საშუალო სკოლა. მხოლოდ 1945 წელს შეძლო სამხატვრო ინსტიტუტში მოწყობა.

— რა პრინციპით ხელმძღვანელობთ თქვენს მოწაფეებთან?

— თუკი შეგიძლიათ, რომ აამოძრაოთ მათი გონება და ამავე დროს ნება მისცეთ ჰქონდეთ საკუთარი იდეები, შემდეგში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაფეები დამოუკიდებლად და ორიგინალურად განვითარდებიან. ისე, რომ ისინი არავის აღარ მიჰბაძავენ, საკუთარ დამოუკიდებელ სახეს იპოვიან.

სალმე რაუნამის აზრით, გამოყენებით ხელოვნებას შეუძლია სახვით ხელოვნებამდე ამაღლდეს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

— დავიდა თუ არა ხელოვნება მასობრივად ხალხამდე?

— ფართოდ. სამხატვრო კომბინატის ნაწარმს ნახავთ ყველა ოჯახში, ქალაქსა და სოფელში. სოფლის მცხოვრებთა გემოვნება ჯანმრთელია. არაა წამხდარი საწინააღმდეგო მიმდინარეობებით.

— გაქვთ თუ არა საზოგადოებრივი დავალება?

— სამი სამხატვრო საბჭოს წევრი ვარ.

— განა გადატვირთული არა ხართ?



— სულაც არა. ეს მე მახარებს, მეტ ძალას მაძლევს. ცხადლივ ვხედავ, როგორ იქმნება ახალი, მშვენიერი ნაწარმოებები.

— რომელი ხელოვნება მიგაჩნიათ ჩვენთან მოწინავედ?

— გრაფიკა და დეკორატიული ხელოვნება.

— რომელ ქვეყნებში იყო ექსპონირებული თქვენი შემოქმედება?

გამოირკვა, რომ 1956-1967 წლებში, გარდა მოკავშირე რესპუბლიკებისა, სალმე რაუნამის ნამუშევარი იხილეს; ნიუ-იორკში, ბრიუსელში, პოზნანში, ჰელსინკში, ადისაბებაში, სიდნეიში, დამასკოში, უხგროდში, ჩეხოსლოვაკიაში, კოპენჰაგენში, რანგუნში, ბრატისლავაში, ლეიპციგში, ულან-ბატორში, ბუქარესტში, ბელგრადში, ოსლოში, სტოკჰოლმში, მონრეალში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მისი სპილენძის პანო; „მზე“, სადაც პირველ რიგში, მონუმენტურობას ქმნის კომპოზიცია და ფორმის გადაწყვეტა...

როგორც ხედავთ, ჩვენ უქმად არ დაგვიკარგავს დრო. დროდადრო სალმეს ორი გოგონა ანე და ლინა კარიდან გვიჭვრეტდნენ. მათ უკვირდათ — რამდენი რამ გვქონდა დიდებს სალაპარაკო.

და მართლაც...

სტუმარმა რომ წასვლის დრო იცოდეს, ეს არც ისე რთულია, მაგრამ არც ისე იოლი, ჩვენ რომ გვგონია.

ლილი პრომეტი

ტალინი.

# ასოები მწკრივში ეწყობიან...

როცა იუტა მიაესაარე ამ ათიოდე წლის წინ ხელით ამწყობ საამქროში შეიყვანეს, განცვიფრდა:

— სულ ესაა ამათი მუშაობა? ამას რა უნდა — აკრიფე ასოები და მერე ჩააწიკწიკე...

მაგრამ საამწყობოში ერთი კვირის მუშაობის შემდეგ იუტას აღტაცება მთლიანად დაცხრა. აბა, ადვილია, შვიდი საათის განმავლობაში ერთ ადგილას დგომა და ასოების ჩაწყობა? ასოები ერთი ციცქნებია, ხელი მოგეცარება და — ჩაგეპნევა. თანაც ყოველ ასოს, ციფრსა და სახაზავს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. საზომი ერთეულებიც აქ სულ სხვა არის, ასე ადვილად ვერ შეეჩვევი — ციცერო, კვადრატი...

— ეგ აქ დიდხანს ვერ გაძლებს! — გადაუჩურჩულა ერთმა ასოთამწყობმა მეზობელს.

მაგრამ იუტა ცდილობდა, საქმეს კი საშველი მაინც არ ადგებოდა. ერთხელ, კრებაზე, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა პირქუშად ჰკითხა:

— იუტა, გეგმას რად ვერ ასრულებ?

გოგონა ეცადა, აეხსნა, რად დააკლდა გეგმის შესასრულებლად ის დაწყევლილი რვა პროცენტი. უნდოდა ეთქვა, რომ ოსტატმა ძველი ანაწყობის დაშლა დაავალა, რომ რამდენიმე რთული შეკვეთაც მიიღეს, მაგრამ...

კომკავშირული კრება იმ შენობაში ტარდებოდა, სადაც დღეს საამწყობო საამქროა. მაგრამ მაშინ აქ არც დღის განათება ჰქონდათ, არც ეს საუცხოო ზღვისფერი ფარდები ეკიდა, ამწყობ მუშა ქალებსაც ეს ჭრელად მოჩითული ხალათები კი არა, შავი სატინის სპეცტანსაცმელი ეცვათ, აქაოდა, ჭუჭყისამტანია, რეცხვა იშვიათად დაჭირდებაო.

სად იყო ეს ყვავილები, ეს მშვენიერი სურათები, რომლებიც იუტას ბინასაც კარგად მოუხდებოდნენ! სხვათაშორის, ეს სურათები ერთ ასოთამწყობს მიართვა კომკავშირის რაიკომმა, როგორც ახალგაზრდული პრესის საუკეთესო გამავრცელებელს.

ჰო, მაშინ აქ ეს ვიმპელებიც არ ეკიდა: „კომუნისტური შრომის კოლექტივი“ და სტამბის საუკეთესო საამქრო“...

ესეც წლებმა მოიტანა. ჰოდა, ამ წლების მანძილზე იუტა მონდომებით აწყობდა მოსაწვევ ბარათებს, აფიშებს, საკანცელარიო ბლანკებს. მისმა მეზობლებმა კი, იუტაზე რომ ჭორაობდნენ, აქ ვერ გაძლებსო, თვითონ ველარ შეძლეს მუშაობა და სტამბა მიატოვეს.

მე ახლა იუტას ზურგს უკან ვდგევარ და ვუცდი, სასაუბროდ როდის მოიცლის. ის კი ვერა და ვერ იცლის, ჰოდა, მეც ვდგევარ და ჩვენი ერთად მუშაობის წლებს ვიგონებ. ვიგონებ 1966-1970 წლებს, როცა იუტა ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო. იმ წლებში ჩვენ ძალიან საინტერესო დღიური შემოვიღეთ. დღიურში ვიწერდით, თუ რასმე კარგსა და სასიკეთოს გავაკეთებდით: წაკითხული წიგნების საჯარო გარჩევა იყო ეს, ვეტერან კომკავშირლებთან შეხვედრა, ჟურნალისტ დეიდე ურბანიკთან სტუმრობა თუ სხვა. საინტერესო ღონისძიებები კი მრავლად გვქონდა. იმ დღიურში ჩავწერეთ, იუტა, შენი სიტყვები, ახლად მიღებულ კომკავშირლებს რომ უთხარი, როცა სამკერდე ნიშნებს აბნევდი:

— კომკავშირული სამკერდე ნიშანი ახლა სხვანაირია, ვიდრე ჩვენს დროს იყო, მაგრამ კომკავშირის მიზანი ისევ ესაა: პასუხისმგებელი იყო შენი ეპოქისა და საკუთარი თავის გამოც.

როცა ამ სიტყვებს ამბობდი, იქნებ, იმ დღეებს იხსენებდი, როცა ჩვენ ვირუსის კულტურის სახლს ვაშენებდით? შენობა რომ დამთავრდა, ფოიეში, შუშის ქვეშ იმათი გვარები გამოაკრეს, ვინც ყველაზე მეტი საათი იმუშავა მშენებლობაზე. შენი გვარი მეორე ეწერა.

იქნებ, ის უსიამოვნო დღე გაგახსენდა, კომკავშირელთა უმრავლესობა შაბათობაზე რომ არ გამოვიდა და შენ გაჯავრებული და შეურაცხყოფილი, ამბობდი: „არ მესმის, როგორ შეიძლება, ადამიანმა შენი სიტყვა არ შეასრულო?“

ან იქნებ, ის დღე გაგონდება, ყველა ხელი რომ ერთად აღიმართა, როცა კომკავშირულ რეკომენდაციას გაძლევდით პარტიის წევრობის კანდიდატად, მერე კი პარტიის რიგებში შესასვლელად?

რამდენიმე წლის განმავლობაში იუტას კომკავშირის რაიკომის წევრად ირჩევდნენ შარშან კი ქალაქის საბჭოს დეპუტატი გახდა.

ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ შემოდგომაზე იუტა სტამბის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, იქნება, ასეთი კითხვაც დაგვებადოს — ხომ არ უშლის მის ძირითად სამუშაოს მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი დავალებები?

მაგრამ, ალბათ, არა! რადგან გასულ წელს, მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით, იუტა მიაესაარე აღიარებულ იქნა რესპუბლიკის საუკეთესო ასოთამწყობად. ეს წოდება მას მეორეჯერ მიენიჭა...

მოგონებებში გართულს, იუტას ხალისიანი შეძახილი მაფხიზლებს: — ჰეი, ლიფტი გამოგზავნეთ ზევით!

ის მბეჭდავებს გამზადებულ ფორმას გადასცემს და მე მიბრუნდება. თვალებით მეკითხება, რა გინდაო.

იუტა, იუტა, ან კი რა გკითხო? ამ წლების მანძილზე, ვინ იცის, მე და შენ ერთად რამდენი ფუთი მარილი შეგვიჭამია!

— ბიჭები როგორა გყავს?

— ოჰ, რომ იცოდე, რა სწრაფად იზრდებიან! მარტი მთელი დღე დარბის, ხვნაშის: ხან შოფერია, ხან მფრინავი... მაგრამ მალე თამაშს უნდა მოეშვას — შემოდგომაზე ექვსი წლისა ხდება, პაწარა კი უკვე ტიტინებს...

ყვება და სახეზე ახალგაზრდა დედის ბედნიერი ღიმილი ეფინება.

ლ. ვალპერი

ტალინი.



მექანიზატორი მაყვალა ქაჩიბაია.

# საამაყო მარჯვე-ნერგებით...

ნაძვნარის ჩრდილი შეშველებია მზით გათანგულ ასფალტიან გზას. ამ გზაზე მიჰქრის ჩვენი მანქანა ზურმუხტოვან პლანტაციებს შორის.

— ეს პლანტაციები ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობისაა, — მეუბნება პარტიის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი ვაჟა ფიფია, — აქ წინათ გაუვალი ტყე და ჭაობი იყო, ამ დაუსახლებელ და გაველურებულ ადგილებს ადამიანები ერიდებოდნენ, ავი სულისა ეშინოდათ...

პლანტაციებში ჭილისქუდიანი ქალები მუშაობენ.

— თითოეული მათგანი 4-5 ტონა ჩაის ფოთოლს აბარებს ყოველწლიურად.

— ძნელია მეჩაიეს შრომა!

— მეჩაიეს შრომა ძნელი კია, მაგრამ გატაცებაც იცის, ხედავს წამოშლილ დუყებს მეჩაიე და იცის: საათებიც რომ დააგვიანდეს მოკრეფას, ფოთოლი უხეშდება, ხარისხი იკარგება, ამიტომ კრეფის დაგვიანების ნებას არ აძლევს სინდისი და ის, რასაც ოფიციალურად საზოგადოებრივ ინტერესებს ვუწოდებთ ხოლმე.

514 ჰექტარზეა გადაშლილი მეურნეობის ჩაის პლანტაციები, აქედან 503 ჰექტარია სრულმოსავლიანი. რა ხელი და ენთუზიაზმი უნდა ჰქონოდათ ადამიანებს, რომ ამ ფართობებისათვის ჯეროვნად მოევლოთ.

— სწორედ სულზე მოგვისწრო მანქანებმა, — მეუბნება აგრონომი ველოდი მაქაცარია, — ახლა მეურნეობაში ჩაის 75-80 პროცენტი მანქანებით იკრიფება, ყოველწლიურად ვზრდიდით პლანტაციის ფართობს, საჰექტარო მოსავლიანობას და მთელი ეს სიმძიმე ჩვენი მეჩაიეების, ჩვენი სახელოვანი ქალების მხრებზე გადადიოდა, რადგან მეურნეობის მუშახელის 65-70 პროცენტს ქალები შეადგენენ.

გზისპირას, ალვის ხის ჩრდილქვეშ, შეკრებილიყვნენ ქალები. ახალგაზრდა მეჩაიეთა შორის ხანშიშესულნიც ჩანდნენ. მანქანიდან გადმოვედით.

— გაიცანით შრომის გმირი ანა შაპოშნიკოვა.

ჭაღარით მოსილმა ქალმა ერთი წამით დახედა თავის ნაშრომ-ნაჯაფარ ხელს, მერე, ჩვეულებისამებრ, წინსაფარს ჩამოუსვა და ხელი გამომიწოდა.

ანა შაპოშნიკოვა მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან — 1932 წლიდან მუშაობს აქ. მის თვალწინ ჩააგდეს ჩაის პირველი თესლი მიწაში, მის თვალწინ იზრდებოდა ზურმუხტოვანი ზღვა და თავისი თვალით ხედავდა, თუ რა სიკეთე და დოვლათი გროვდებოდა სოფელში, ოჯახებში.

— იცი, შვილო, პირველ ჰექტარებზე ჩაის რომ ვთესდით, თითო ხელი ტანსაცმლის, თითო ხელი ლოგინისა და დაბრეცილი ქოხმახების მეტი არა გვებადა რა, ახლა კი, აბა, გადახედეთ აქაურობას.



ინგირი. კულტურის სახლი.

ოთხე აგროგანყოფილების მეთორმეტე მე-
ქანიზებული რგოლის წევრია, საერთოდ, მე-
ურნეობაში მერგოლურად ძირითადად მექა-
ნიზატორები არიან. გოგოლას რგოლის ხელ-
მძღვანელი — მამია ფარცვანიაც რგოლის
მექანიზატორია. 3 ჩაის საკრეფი მანქანა
აქვს რგოლსა და 29 ჰექტარ პლანტაციას
უვლის. წელს 29 ჰექტარიდან გეგმით 177
ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა ჩა-
აბარონ სახელმწიფოს და, მანქანები რომ
არა, აბა, რგოლის თერთმეტი წევრი როგორ
შეძლებს ამდენი ფოთლის მოკრეფას.

— მაისში ჩვენი რგოლი დღეში 9 ტონა
ფოთოლს აბარებს ხოლმე ფაბრიკას, ე. ი.
თითოეულ მანქანა „საქართველოზე" 3 ტო-
ნა მოდის. წინათ ამდენი ჩაის მოკრეფას
დღეში 45-50 კაციც ვერ აუვიდოდა. ახლა
ჩვენ „საქართველოს" ნაკვალევს მივყვებით
და ნაგვერდულებზე დარჩენილ დუყებს
ვკრეფთ მხოლოდ.

მეჩაიეებს „პიკის საათები" რომ დაე-
წყებათ, პლანტაციებსა და მიმღებ ფარ-
დულებში მთელი ღამე ხმაური და
გრიამული ისმის. სახელდახელოდ გამარ-
თულ საწოლებში ისვენებენ ნაჯაფარი მე-
ურნეები, ღამის სიმყუდროეში შორს ისმის
მათი ხმამაღალი სიცილი და სიმღერა.

ამ

სი



ჩაის მოწინავე მკრეფავები: ლ. მესხიშვილი,
ა. შაკოშნიკოვა, გ. ოპარა და ო. ჩერემისინა.

ციათ, ინგირში ჩასულ კაცს თვალს მოს-
ტაცებს კოხტა, აგურით ნაგები, ბაღნარში
ჩაფლული, მუშებისა და კოლმეურნეების
სახლები მრავალსართულიანი, კეთილმო-
წყობილი საცხოვრებელი უბნები, ტექნიკუ-
მები, სკოლები, კლუბები, კულტურის სახ-
ლი თუ საავადმყოფო, ქარხნები და მაღაზი-
ები, თუ რკინიგზის სადგური, თანამედ-
როვეობის შესაფერი კეთილი ცხოვ-
რება ყველა ოჯახში გაზითა და ცისფერი
ეკრანით, ავეჯითა და გემოვნებით შერჩე-
ული საოჯახო ბიბლიოთეკებითაა დამშვენე-
ბული.

შრომის სიყვარულმა მოუტანა დიდება
და სახელი საქართველოს მიწაზე დასახლე-
ბულ უბრალო რუს ქალს ეკატერინე ცაპ-
კოვას, რომელსაც მკერდს უმშვენებს ლენი-
ნის ორდენი — ჯილდო მუყაითი, ხალ-
ხისათვის თავდადებული შრომისა. შრომამ
აზიარა პატივსა და სახელს იყალთოელი ლი-
ზა მესხიშვილი, ახლა მეურნეობის მკვიდ-
რად რომ მოაქვს თავი და კახეთიდან სტუმ-
რად ჩამოსულ და-ძმებს სიამაყით აჩვენებს
მეურნეობის ფართობებს, აცნობს ინგირელ-
თა წარმატებებს.

ჩაის ბუჩქის სიყვარულმა დაასახლა მეურ-
ნეობის მიწაზე გოგოლა ქარჩავა, რომელიც
მუყაითობამ ცხოვრების დიდ გზაზე გამოიყ-
ვანა, გამოცდილებამ და ალღომ მეგობართა
რჩეული გახადა. გოგოლა ქარჩავა რაიონუ-
ლი საბჭოს დეპუტატი, ტოლ-მეგობრებში
სამაგალითო ქალი და კარგი დედაა. იგი მე-



ჩაის პლანტაციებში.

— სახლისაკენ არც საქმე გვიშვებს და არც გული მიგვიწევს. მთელი ღამე ვტვირთავთ ავტომანქანებს და ფაბრიკისკენ ვაგზავნით, რომ ჩაის ხარისხი არ გაუფუჭდეს.

მექანიზაცია გახდა მეჩაიეთა შრომის შემამსუბუქებელი და კეთილი მეგობარი. კომპლექსური მექანიზებული რგოლები სამეურნეო ანგარიშზე არიან, მეჩაიეს გამომუშავება თვეში 160 მანეთია, ხოლო მექანიზატორის წლიური ხელფასი 2.500-3.000 მანეთს აჭარბებს.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის დანერგვის პიონერია. აქაურთა ძვირფას გამოცდილებას მრავალი მიმდევარი ჰყავს არა მარტო ზუგდიდში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. ვის არ გაუგონია მანქანა „საქართველოს" ერთ-ერთი პირველი მესაჭის — სერგო აფხაზავას სახელი. ახლა ინგირში მექანიზაციის შემსწავლელ მუდმივ მოქმედ სკოლაში სერგო აფხაზავას გამოცდილებასაც ასწავლიან. ყოველწლიურად მეურნეობაში მექანიზატორთა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე მოდიან ახალგაზრდები კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. კურსდამთავრებული 250 ახალგაზრდა მექანიზაციის დანერგვის მესვეური და პროპაგანდისტი გახდა.

ეს კურსები დაამთავრა ინგირქალალდკომბინატის მემანქანემ მაყვალა ქარჩავაიამაც. თავი ისახელა ვაჟკაცურ საქმეში ნაზმა ქალიშვილმა. ზის თავის რკინის ტაიჭზე მაყვალა და ტოლს არ უდებს ძველ თუ ახალგაზრდა მექანიზატორებს: იმედი და დათიკო ქარჩავებს, ავთანდილ ქადარიას თუ გენო სანიკიძეს. შარშან 10 ჰექტარ ფართობზე, ნაცვლად 50-ისა, 62 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. როცა ხარისხობრივი მაჩვენებლები შეამოწმეს, პირველობა მაყვალას დარჩა, 50 პროცენტის ნაცვლად, 85 პროცენტი პირველი ხარისხისა აღმოჩნდა მაყვალას მოკრეფილ ფოთოლში.

მექანიზაციის ფართოდ დანერგვით მიაღწია ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის მოსავლიანობისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საამაყო მაჩვენებლებს. შარშან კოლმეურნეობამ ნაცვლად 1418 ტონისა 1759 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა მრეწველობას. საჰექტარო მოსავლიანობამ კი 5450 კილოგრამის ნაცვლად 6.400 კილოგრამი შეადგინა. ერთი ცენტნერი ჩაის გეგმიური ღირებულება ხელით კრეფისას 51 მანეთი და 50 კაპიკია. მექანიზირებული კრეფით კი იგი კოლმეურნეობას მხოლოდ 37 მანეთი და 20 კაპიკი დაუჯდა. კოლმეურნეობამ წელს 21 ივნისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა და მოკრიფა 724 ტონა, ე. ი. წლიური გეგმის 51 პროცენტი.

როგორც ბევრგან, ინგირის კოლმეურნეობაშიც ქალები ჭარბობენ. ვინ არ იამაყებს ისეთი ქალებით, როგორიც გული ესებუა, ნორა ქარჩავა, ეთერ გაბისონია ან მთვარისა ყალიჩავაა: სამგზის რაიონული საბჭოს დეპუტატი, სამაგალითო კომუნისტი, ლენინის ორდენოსანი — ასეთია გული ესებუას მოკლე ოფიციალური დახასიათება, რომლის იქით დაინტერესებული ადამიანი წაიკითხავს საინტერესო მოთხრობას თავდადებულ შრომაზე, სამშობლოსა და ოჯახის ერთგულებაზე, სოფლისა და შვილების სიყვარულზე, ამოიცნობს იმ მოთხრობის ქარგას, რომელსაც თავიანთი ცხოვრებით და შრომით წერდნენ და წერენ გულისნაირი ქალე-

ბი. აი, ნორა ქარჩავა, სამი შვილის დედა, ჭაღარაშერეული ქალი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა სიმძიმე საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და ომით გამოწვეული გაჭირვებისა, ან თუნდაც ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა მთვარისა ყალიჩავა, რომელსაც ორსართულიანი ახალი სახლის მწვანედ აბიბინებულ ეზოში 8 თვალებცქრიალა შვილი დაუდის, რვა სიხარული და სოფლის ბურჯი. როცა ვუცქერდი გოგონებითა და ბიჭუნებით გარშემორტყმულ დედას, თვალებში — ზრუნვის, ხოლო ხელებზე გარჯის ნაკვალევი რომ ეტყობა, ვფიქრობდი: ბედნიერია სოფელი, ქვეყანა, რომელსაც ასეთი ქალები ჰყავს—მეთქი!

**მარგო დიაკონიძე**

**ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი**

## ფოტოები დ. იაკობაშვილის და თ. ფურცხვანიძისა

მოწინავე მეჩაიე ლ. მესხიშვილი



ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო".



კომპლექსური ბრიგადის წევრი გ. ქარჩავა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფერმის დიასახლისი

მახარაძის რაიონის მეჩაიეთა და მეციტრუსეთა სახელი კარგა ხანია გასცდა რაიონის ფარგლებს და მთელს რესპუბლიკას მოედო. ამიტომაც ამ რაიონისა და მისი სახელოვანი ადამიანების ხსენებაზე, ალბათ, ბევრს ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები და ნარინჯოვანთა ბაღნარები წარმოუდგება თვალწინ. მაგრამ ნაკლებად მომხიბლავი როდია რაიონული ცენტრის სამხრეთით გაშლილი მობიბინე ველი, სადაც არც ჩაის და არც ციტრუსი. აქ არის კოხტად ჩამწკრივებული საფრინველეები, საწიწილეები და ორმოცი ათასი ფრთა ფრინველით თეთრად გადაპენტილი ასი ჰექტარი მინდორი. ეს გახლავთ მახარაძის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა.

ფერმაში მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერულ სიახლეთა დანერგვა, ეკონომიკის განმტკიცება და მზარდი სასახელო მაჩვენებლები უშუალოდ უკავშირდება მის შესანიშნავი დიასახლისის — ლილი სოსელიას სახელს.

გატაცება, საქმის სიყვარული ლილის ხასიათის განუყოფელი ნაწილია. ასეთი იყო იგი მელექედურის კოლმეურნეობაშიც, სადაც ახალბედა ვეტექიმმა მალე გაუსწორა მხარი გამოცდილ სპეციალისტებს. სოფელს შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა ქალის შრომისმოყვარეობა, გამოცდილი მეურნის ალღო და კარგი ორგანიზატორული უნარი. კომუნისტებმა თავიანთ რიგებში მიიღეს ლილი.

ეს იყო ახალი ასპარეზი, ახალი ენერგიის წყარო ენთუზიასტი ქალისათვის. მალე იგი პარტიის რაიკომში გადაიყვანეს ინსტრუქტორად. რაიონის ხელმძღვანელობამ მზარდ სპეციალისტს ანდო დიდი საქმე, რთული უბანი, მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომელიც წლების განმავლობაში ზარალიანი იყო და რაიონის ერთ-ერთ ჩამორჩენილ უბნად ითვლებოდა.

ახლა იოლია ლაპარაკი — თავი არ დაუზოგავს და წარმატებებმაც არ დაიგვიანა. მაგრამ მაშინ მარტო თავდაუზოგაობა როდი შველოდა საქმეს! საჭირო იყო სწორედ ის ორგანიზატორული ნიჭი და ალღო, რომლითაც მელექედურელებს შეაყვარა თავი. გამოცდილებაც აღარ აკლდა ლილის. ინსტიტუტის დამთავრებიდან, პრაქტიკული საქმიანობის დაწყებიდან თითქმის ათი წელი გასულიყო. უპირველესად არსებულს მიხედა. მეფრინველეთა შრომის პირობებით დაინტერესდა, საკვების რაციონალურად ხარჯვა დააწესა, ფრინველის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე იზრუნა, საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს თავისი სამუშაო გეგმა გააცნო, და დახმარება მოსთხოვა.

მალე მწყობრში ჩადგა ახალი საწიწილეები, ფართოგაბარიტიანი საფრინველეები, დაინერგა მექანიზაცია. მექანიზებულმა დანადგარებმა მრავალი მუშახელი გაათავისუფლა. ახლა 25 ათასი ფრთა ფრინველის მოვლას ორი ადამიანიც კარგად აუდის. გალიური სისტემის დანერგვამ შეამცირა საკვების დანაკარგები, გაიოლდა ნაკელის გატანა, ფრინველის წყლით უზრუნველყოფა.

ფერმაში სისტემატურად ზრუნავენ ფრინველის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით აქ მოიყვანეს ადლერის „ვერცხლისფერი" ფრინველი. ამ ჯიშის ვარიები 3 კილოგრამს იწონიან, მამლები კი 5 კილოგრამამდე აღწევენ. ამან სწრაფად გაზარდა ხორცის წარმოება. შარშან ფერმამ 456 ცენტნერი ფრინველის ხორცი მისცა სამშობლოს, წელს კი ეს ციფრი 490 ცენტნერს მიაღწევს. ფერმაში ყველა პირობა არსებობს, რომ ხორცისა და კვერცხის წარმოების ზრდასთან ერთად, მოგებაც მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

ფერმაში, წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია ინკუბაცია, ფრინველის კვება, მოვლა-პატრონობა, კვერცხის საინკუბაციო ხარისხი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოჩეკის პროცენტი აქ 75-ის ნაცვლად 80-ს აღწევს.

ხუთწლედის ბოლოს ფერმაში 25 ათასი კვერცხმდებელი დედალი უნდა იყოს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ახლა მხოლოდ ათი ათასია, გასაგებია, ზრდის რა დიდი პერსპექტივებია დასახული. ამიტომ არის, რომ ფერმის ხელმძღვანელობამ ამთავითვე დიდი ყურადღება დაუთმო ახალმშენებლობებს. ლილი სოსელია კმაყოფილია საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს დახმარებითა და მუდმივი მხარდაჭერით. ამ კეთილ ურთიერთთანამშრომლობის შედეგიც არის ის, რომ წელს უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ინკუბატორი და აკლიმატიზატორი. მშენებლობის პროცესშია ოთხი დიდი საფრინველე, კვერცხის, მარცვლეულის საწყობები.

— მახარაძის რაიონის მშრომელებს, ასეთ შრომისმოყვარე, საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს როგორ უნდა მოვაკლოთ კვერცხი და ფრინველის ხორცი! — ღიმილით ამბობს ლილი და სიამოვნებით ასახელებს ციფრებს, რომლებიც გეგმიურზე ბევრად მეტია და რომელთა მიხედვითაც მშვენივრად ჩანს, რომ ფერმა, სახელმწიფო გეგმებთან ერთად, რაიონის მშრომელთა მოთხოვნილებასაც კარგად უზრუნველყოფს.

ათ ჰექტარზე გაშლილა მეფრინველეთა ეს პატარა ქალაქი. ირგვლივ მწვანე ფარდაგებია გაფენილი. აქ იონჯა და სამყურა ბიბინებს მხოლოდ. მაგრამ ეს მაინც სიუხვის ველია, რაიონის სიმდიდრის პატარა წყარო. უთუოდ შვენის ამ ველს თეთრხალათიანი ქალები, გოგონები, ნამდვილი შემოქმედებითი შრომის ადამიანები ნ. გიორგაძე, თ. კჭერღელაძე, ვ. ოქსესონი.

ერთსულოვნებისაკენ, საქმის სიყვარულისა და ერთგულებისაკენ უბიძგებს მათ გონიერი და თავადაც საქმისათვის თავდადებული ხელმძღვანელი ლილი სოსელია. კარგი საქმეებით, შრომისმოყვარეობით დიდხანს დაგვამახსოვრებთ თავს ეს კოლექტივი და მისი მშვენიერი დიასახლისი.

მ. კოზერიძე,
ნ. ბურჭულაძე.



მარუხის გმირები



ნატურმორტი ანანასით



ჯრუჭი

ფერი თენგიზ ფურცხვანიძისა



ქართული პეიზაჟი



ნატურმორტი საზამთროთი



ნატურმორტი



ვარდისფერი ნატურმორტი



ნატურმორტი



ღვთისმშობლის ტაძარი (პარიზი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კირილე ზდანევიჩი



მალაკნის ქუჩა მზით იყო სავსე. ქვაფენილზე თეთრცხენებშებმულმა ფაეტონმა ჩაიქროლა.

— ქორწილია! ქორწილი!

ნეფე-დედოფალი სიონის ტაძარში მიჰყავდათ ჯვარდასაწერად, ზურნის ჭყვიტინით, დოლის ბაგა-ბუგით. მათ მოქეიფეთა მთელი დასტა მიჰყვებოდა. შემოდგომა იყო, — ქორწილებისა და ლხინის მაზანდა. ქვაფენილზე ვიღაცას წითლად დაბრაწული ატამი გამოეტანა და სულ მუქთად სთავაზობდა მუშტარს. კალათს ფუტკრები ესეოდნენ. აქეთ კინტოს ხის გობი მოხარშული წაბლით გაევსო, მერე თავზე ისეთი ეშხით შემოედგა და ისე მოხდენილად მოირხეოდა ამ მილეთ ხალხში, გეგონებოდათ ბაღდადურს ცეკვავსო. იქით ღვინის დუქანში დამწვრისას მღეროდნენ. თბილისურ მუხამბაზს აბა რა შეედრება. ხარაზები, ოქრომჭედლები, თერძები, ყასბები გარეთ გამოეფინენ.

— ქორწილია!

ნეფე-დედოფალი დალოცეს, მაყრიონს — ქეიფი გაამოთო — მიაძახეს. რამდენი ფერი მიმობნეულიყო მალაკნის ქუჩაბანდებზე. ეს ჭრელი ფარდაგებიო, აივნის რიკულებზე რქაწითელის აკიდოები, ხურმის და ლეღვის ჩირი, პროწეულის ხუნძულები, მაჭრით სავსე ხელადები, ყვითელი გოგრები, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ჩიხტაკოპის მანდილი, ფირუზისფერი სარტყელ-გულისპირი, ლამაზმანების ეშხი, თვალები შვლისა და თვალეჰი ქურციკის...

ქუჩა ხმაურობდა, გალობდა, გუგუნებდა. ღვინობისთვის ეს ცოცხალი ნატურმორტი თვალსა ჭრიდა თავისი ფერადებით, აბრუებდა შეუდარებელი არომატით. თბილისელი ძმები კირილე და ილია ზდანევიჩები, და წარმოშობით ფრანგი მხატვარი ლე-დანტიუ წინ დღით პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ. ცივი, ნესტიანი ამინდები იდგა თურმე ნევისპირა ქალაქში, თოვლიც მოსულიყო. და აი, თბილისი... გაოცებული ლე-დანტიუ ილიმება.

— რამდენი ფერია, რა საოცარი კოლორიტი, ბატონებო...

კირილე ზდანევიჩი თვალებს ჭუტავს და ლე-დანტიუს ფართე ხელისგულს მეგობრულად მხარზე უთათუნებს.

— ხომ გეუბნებოდი, მიხეილ ვასილევიჩ, სამოთხეა მეთქი ჩვენი ქვეყანა: ყოველ ნაბიჯზე შთაგონებაა...

ისინი მიაბიჯებდნენ ქვაფენილზე და ტკბებოდნენ ჩვენებური შემოდგომის სილამაზით, კირილე და ლე-დანტიუ მხატვრები იყვნენ და მათ შეგრძნებაში შემოდიოდა ათასი განცდა, ათასი ტონი, მათთვის ყველაფერი უფრო ემოციური იყო, უფრო ამაღლებული, უფრო ხელშესახები და მეტყველი თავისი პლასტიკითა და ნიუანსებით. კირილე ზდანევიჩს, უყვარდა ყველაფერი ეს და ალბათ ამიტომ მისი ფერწერა ქართულ ყოფაში, ქართულ სინამდვილეში არეკლილი სამყარო იყო. თბილისში, ქუთაისში, კოჯორში თუ მცხეთაში დანახული სიკეთის ნაწილი გახლდათ. ჩვენებური ხასიათები, ჩვენებური ტკივილი, ჩვენებური აღმაფრენა...

მაშინ, იმ შემოდგომით — მალაკანზე აი რა მოხდა: — მოსახვევში დუქნის წინ თეთრ კედელთან ვიღაც მაღალ, გამხდარ კაცს ხის უბრალო კიბე მიედგა, ძველი ფეტრის „შლიაპა“ ეხურა და ფუნჯით აბრას ხატავდა. სამივენი შეჩერდნენ. ლე-დანტიუმ ხელები გულზე დაიკრიფა და კირილე ზდანევიჩს გადაუჩურჩულა:

— ღმერთო ჩემო, ვინ არის ეს კაცი, ხედავთ, ხედავთ როგორ ხატავს...

— ეს თვითნასწავლი მხატვარი ნიკალა ფიროსმანაშვილია, შორიდან ვიცნობ — თქვა კირილე ზდანევიჩმა.

— გამარჯობათ, ნიკო... სტუმრებს არ მიგვიღებთ?

— გაგიმარჯოთ, ხატვას ახლავ მოვრჩები და გეახლებით, — თქვა მან წყნარი, გაბზარული ხმით. როცა ჩამოვიდა ერთმანეთს გაეცნენ. მერე უახლოესი ღვინის დუქნისაკენ გასწიეს. ნიკალას ყველა იცნობდა, ესალმებოდნენ. კირილე ზდანევიჩმა მედუქნეს მწვადები, კახური ღვინო, ქოთნის ლობიო თავისი რამე-რუმეებით შეუკვეთა. კედლიდან იყურებოდა ფიროსმანის თეთრი ბატკანი — დიდრონი, კაეშნიანი თვალებით. ნიკალამ ისინი ადღეგრძელა და კახური სულმოუთქმელად შესვა. ღვინის წითელი წვეთები წვერ-ულვაშში გაებნა თვალები აუწყლიანდა... ფიროსმანმა თითქმის ყველა ახლო-მახლო დუქანი დაატარა სტუმრებს და კედელზე, თუნუქზე, მუშამბაზე შექმნილი თავისი შედევრები ანახვა, კირილე, ილია და ლე-დანტიუ გაოცებული შეჰყურებდნენ თვითნასწავლი გენიოსის მიერ თავისებურად დანახულ წუთისოფელს. ამ სევდიან კაცს ნახატებში მთელი თავისი ტკივილი, და ტანჯვა, მარტოობის წუხილი, ადამიანებისადმი სიყვარული ჩაექსოვა.

— იცით თქვენ, რომ დიდი მხატვარი ხართ? — შეეკითხა ლე-დანტიუ.

მან გამხდარი მხრები აიჩეჩა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— დიახ, ეს თანამედროვე ჯოტოა. — ჩაილაპარაკა აღელვებულმა ლე-დანტიუმ.

— მე მიყვარს უბრალო ხალხის ხატვა. მდიდრებს არ მოსწონთ ჩემი სურათები. ეჰ, ღმერთი იყოს მათი შემწე — ხელი ჩაიქნია ფიროსმანმა.

— „ქეიფი ტალავერში“, „მარგარიტა“, „ორთაჭალის მზეთუნახავი“, „ქალი დაირით“, „დათვის ბელები მთვარიან ღამეში“, „შველი“... და სხვა და სხვა. ეს ვეებერთელა განძი ძმებმა კირილე და ილია ზდანევიჩებმა და ლე-დანტიუმ შეაგროვეს, შეისყიდეს, დაღუპვას გადაარჩინეს, უპატრონეს და მერე კირილემ საქართველოს უსახსოვრა... მაგრამ მისი დამსახურება ჩვენი კულტურის წინაშე მარტო ამით როდი შემოიფარგლება. იგი კარგი მხატვარი იყო. მამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურმორტი



მედეა ჯაფარიძის პორტრეტი









ნატურმორტი კაქტუსით

ნატურმორტი ლიმნებით



თაიგული

ნატურმორტი

მისი — მიხეილ ზდანევიჩი წარმოშობით პოლონელი გახლდათ. მაგრამ ქუთაისში დაბადებულს და აღზრდილს ორივე სამშობლო პოლონეთი და საქართველო ერთნაირად უყვარდა. ორივე ქვეყანას ერთი გაუმაძღარი სვავი უკორტნიდა გულმკერდს — მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი და შვილებიც მონობისადმი ზიზღითა და თავისუფლების სიყვარულით აღზარდა. კირილე ზდანევიჩის დედა ვალენტინა გამყრელიძე ასევე მომხიბლავი ადამიანი იყო, ლიტერატურისა და ფერწერის თაყვანისმცემელი; სალი ოჯახური გარემო, მშობლებისაგან შეთვისებული სიკეთე ორივე ძმას კირილესა და ილიას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვათ.

კირილე პარიზში მიემგზავრება... ფერწერის დიდოსტატებისაგან სწავლობს. ეშინია, ძალაუნებურად არ მოექცეს ტულუზ ლოტრეკის, გოგენის, რენუარის დიდი შემოქმედების გავლენის ქვეშ.

პარიზი, კაფე „როტონდა"... საღამოობით აქ იკრიბებიან პოეტები, მხატვრები, მწერლები. კირილე თამბაქოს კვამლით დანისლულ კაფეში ეძებს ქართულ სახეებს. აი, იპოვნა კიდეც, ულამაზესი პაოლო იაშვილი. ბოლავს ყავის ფინჯანი, ვიღაც ემიგრანტი როიალთან მღერის ძველ, სევდიან რომანსს. პაოლოს თვალები ნაპერწკლებს აფრქვევს. ფრანგულ კაფეში ქართული ლექსი ლოცვასავით გაისმის...

„მინდა ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ.
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე"...

კირილე ზდანევიჩს და პაოლო იაშვილს ენატრებოდათ საქართველო. სადღაც თვალებში სისველემ გაიბრწყინა. იმ ღამეს კირილე ზდანევიჩმა დახატა ქართული ნატურმორტი. გრემის ტაძრის კონტური მოხაზა... ალბათ არც პაოლოს ეძინა იმ ღამეს...

კირილე ეძებდა საკუთარ გზას. იცოდა იგი მხოლოდ დიდი შრომის შემდეგ შეიძლება ეპოვა. ხატავდა, ეძიებდა, სწავლობდა. მანსარდიდან ჩანდა პარიზი, სენის სანაპირო, ნოტრდამის სილუეტი.

ერთხელ მისმა იქაურმა ნაცნობმა ალექსანდრე არხიპენკომ შესთავაზა საკუთარი ატელიე, სადაც კირილე ზდანევიჩმა პარიზში შექმნილი ნამუშევრები გამოფინა. ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები. საკუთარი ხელწერა. მისეული ხედვა, მერე თვით პიკასო ესტუმრა. ნახა, მოეწონა ექსპოზიცია და კედელზე ფანქრით მიაწერა +5. ეს კირილე ზდანევიჩის ადრეული შემოქმედების დიდი შეფასება იყო. მერე მსოფლიო ომი დაიწყო. იგი საქართველოში მოიჩქარის. აქ ბევრს მოგზაურობს. ხატავს... „ქართლის პეიზაჟს", „მარუხს", „მედეას", „ვარდისფერ ნატურმორტს" და სხვ.

კირილე ზდანევიჩმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოსკოვს გაატარა. წერდა, სულდგმულობდა საქართველოთი. მისი წიგნები ფიროსმანზე გამოიცა მოსკოვში, საფრანგეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, საქართველოში...

როცა ყინულის ქირხლი ფარავდა სარკმლის მინებს, როცა სიბერემ ძალა წაართვა და აღარ ემორჩილებოდა ფუნჯი, გარეთ ქარბუქი მძვინვარებდა, რუსული ზამთრის გრძელ ღამეებში ეჩვენებოდა თბილისური ლვინობისთვის ცოცხალი ნატურმორტები.

კელაპტარივით ილევნთებოდა სიცოცხლე, გულმა ისევ შინისაკენ გამოუწია... ვარდისფრად აფეთქებული ნუშის ხეები, უეცრად მოვარდნილი გაზაფხულის ნიაღვრები, ოქროიყანის ნამიანი ყოჩივარდები, ღია სარკმელთან მოყივყივე ჩიტბატონები... ეგონა, რომ დაუბრუნებდნენ ჩაფერფლილ შთაგონებას... ამაო იყო მოლოდინი...

...კირილე ზდანევიჩი დიდუბის პანთეონში განისვენებს. მშობლიური საქართველოს მიწაში.

ახლა თბილისში ისევ ისეთი ლამაზი შემოდგომაა.

ნანა ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ႫႼႥႤႰႥႠႪႱ ႨႮႷႰႭႡႱ ႵႠႪႨႸႥႨႪႨ

ნანული მამისაშვილს საამქრო გაჩახჩახებული დახვდა. საქსოვი მანქანები სინათლის შუქზე ლაპლაპებდა. ნანულიმ ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანები შეამოწმა, გააწყო და ასიათასობით ნემსმა ძაფის პირველი მარყუჟები გადააბა ერთმანეთს, მალე შეინასკვა ქალის ლამაზი საყაკეტე ქსოვილის კონტურები.

ასე დაიწყო კიდევ ერთი ჩვეულებრივზე უფრო შინაარსიანი სამუშაო დღე ნანული მამისაშვილმა, უფრო შინაარსიანი იმიტომ, რომ ამ დღიდან გახდა იგი ცნობილი ნოვატორის, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის — მზია არათანაშვილის მიმდევარი, ამ დღიდან დაიწყო მან ხუთი დღის ნორმის ოთხ დღეში შესრულება. რა თქმა უნდა, ამას წინ უძღოდა საჭირო თადარიგი: კვალიფიკაცია აიმაღლა, უფრო კარგად შეისწავლა თავისი ორივე მანქანის მუშაობის პრინციპი, უფრო ღრმად ჩაწვდა მაღალმწარმოებლური მანქანების საექსპლოატაციო თვისებებს და გააუმჯობესა მათი მოვლა. ყოველივე ამით, მინიმუმამდე შეამცირა ძაფის წყვეტიანობა, ნემსების გადატეხის შემთხვევები, ხოლო ისეთი არასასურველი და შემაფერხებელი მოვლენა, როგორიც არის ქსოვილის ჩავარდნა, რაც რამდენიმე ძაფის ერთად გაწყვეტას მოსდევს, სულ ამოფხვრა.

ნანული მამისაშვილი ამ ექვსიოდე წლის წინათ მოვიდა პირველ სატრიტოკაჟო ფაბრიკაში. რკინიგზის მეორე საშუალო სკოლა ახლადდამთავრებული ჰქონდა. შრომის ასპარეზად თავიდანვე მსუბუქი მრეწველობა აირჩია. სამი თვის ნაცვლად, ერთ თვეში აითვისა ნანულიმ მქსოველის პროფესია და ბრტყლად საქსოვ დაზგაზე დაიწყო დამოუკიდებლად მუშაობა. ხელობის საფუძვლიანად ათვისებისათვის ზრუნვა შემდეგაც არ შეუნელებია. მალე კომკავშირში მიიღეს მქსოველთა შორის ყველაზე დაწინაურებული ახალგაზრდა.

ფაბრიკაში მოსვლის დღიდან ორი წელიც არ იყო გასული, რომ საწარმოში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ძველი დაზგების ნაცვლად დაიწყეს ახალი, მაღალმწარმოებლური საქსოვი მანქანების დამონტაჟება. ამან მქსოველების წინაშე ახალი ამოცანა დააყენა. საჭირო იყო კვალიფიციური დაოსტატება, ახალი ტექნიკის, მისი თავისებურების კარგად შესწავლა.

— ასეა, ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება ტექნიკაც და, მის შესაბამისად, ფართოვდება ადამიანის სამოქმედო უბანიც. ყოველივე ეს თავიდანვე უნდა გაითვალისწინო, თუ გინდა ცხოვრებას არ ჩამორჩე! — ამბობდა ნანული და ახალ მანქანებს ჩაჰკირკიტებდა. საამქროში, მრგვალად საქსოვი მანქანების დამონტაჟების დღიდანვე ნანული ამწყობ-ზეინკლებთან ტრიალებდა, ეხმარებოდა, თან გულდასმით ეცნობოდა მანქანის ყოველ დეტალს, მის დანიშნულებას, ამან საქმეს არგო. ნანულიმ ერთ-ერთმა პირველმა შეუფერხებლად აამუშავა ახალი მანქანა, რომელმაც ძველთან შედარებით 12-ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, აამაღლა წარმოების ეფექტიანობა. საწარმოო უბნების ახალი მანქანებით აღჭურვამ მუშაობაც უფრო სახალისო გახადა.

პირველ ხანებში ნანული ერთ მანქანაზე მუშაობდა. დავალებას გადაჭარბებით ასრულებდა, ნაწარმიც მაღალხარისხოვანი გამოდიოდა. საკმაო ხნის გავლის შემდეგ, დაკვირვებულმა ქალიშვილმა ივარაუდა, რომ მეტი მონდომებითა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით შეძლებდა ერთდროულად ორი მანქანის მომსახურებას. საამქროს ხელმძღვანელებმა მოუწონეს განზრახვა და მალე მეორე მანქანაც ჩააბარეს. ორ მანქანაზე მუშაობამ საზრუნავი გაუორკეცა, მაგრამ განზრახულზე ხელის აღება არასოდეს უფიქრია და არც ამჯერად შეეპუა გაორკეცებულ საქმეს.

მალე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადება გაჩაღდა. ახალგაზრდა კომუნისტი კიდევ მეტი შემართებით დადგა საიუბილეო შრომითს ვახტზე, ნანულიმ გეგმის ზევით ქალის ათასობით საყაკეტე ნახევარფაბრიკატი და ასობით მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მოქსოვა.

ნანულიმ მოკლე დროში მოიხვეჭა აქტიური კომუნისტის სახელი. ამას ყველაზე უკეთ ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი კიმა ფირცხალაშვილი ამჩნევდა, ემაყებოდა კიდეც. ნანული ხომ მის თვალწინ გაიზარდა,

დახელოვნდა, როგორც საუკეთესო და თავის პროფესიაში ძნელად თუ დაუდებს ვინმე ტოლს. ამაში მას დიდად ეხმარება შრომისმოყვარეობა, სიახლის აღქმის უნარი. ამიტომაც იყო, რომ სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ხორცშესხმისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე დაბადებულ პატრიოტულ ინიციატივას — ხუთი დღის ნორმის ოთხ დღეში განაღდების შესახებ, საწარმოში ყველაზე უმალ ნანული გამოეხმაურა. ამით ახალგაზრდა კომუნისტმა სანიმუშო მაგალითი უჩვენა სხვებს. მას ცვლაში ნორმის მიხედვით 50 ქალის საქაკეტე ნახევარფაბრიკატი უნდა მოექსოვა, ქსოვს 66, ზოგჯერ უფრო მეტსაც და ხუთდღიურ გეგმას წარმატებით ასრულებს ოთხ დღეში.

კოლექტივში მომუშავე კომუნისტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასარგებლო საქმეში სხვების გაყოლიების უნარიც. არც ეს აკლია ნანულის. მან თავის უბანზე პატრიოტული წამოწყების მხარდასაჭერად სხვებიც განაწყო, ახლა ოცზე მეტი მქსოველი თავისუფლად ასრულებს ხუთდღიურს ოთხ დღეში. ესენი არიან მქსოველები რუზანა მაისურაძე, ევგენია ავეტისოვა, ლამარა ლეკიშვილი, ანგელინა მიქაძე, ნინო ბობოშკო, ნადეჟდა კოჟუხა და სხვები. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ნანული მამისაშვილი თავიდანვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. უკვე მესამე წელია, მრგვალად საქსოვ საამქროში პროფჯგუფს ხელმძღვანელობს, ჯგუფში 32 მუშაა გაერთიანებული. ფაბრიკაში მოქმედ 23 პროფჯგუფს შორის ნანული მამისაშვილის ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა. ენერგიულ ქალიშვილს უბანზე არც ერთი ჩამორჩენილი არა ჰყავს. იგი ბევრ ღონისძიებას ისე ახორციელებს, რომ მითითება არ სჭირდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ თავისი ინიციატივით გააცნო ჯგუფის წევრებს. მას შემდეგ უბნის მქსოველებმა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი. შედეგებს ყოველი დღის ბოლოს აჯამებენ. მოწინავეებს მარჯვენას უქებენ, თუ ვინმე ჩამორჩა, ეხმარებიან.

„ნუთუ ჩვენთან შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა რეზერვი ამოწურულია? — ხშირად კითხავს თავისთავს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქალიშვილი და თვითონვე უპასუხებს: — არა, არა! ყველა რეზერვი ჯერ კიდევ როდი მაქვს ამოქმედებული. კვლავ ბევრი რამ მოითხოვს დახვეწას, სრულყოფას. განა არ შეიძლება ხელის გაწაფვა და გაწყვეტილი ძაფის უფრო ჩქარა გადაბმა? წყვეტიანობის კიდევ შემცირება ან აღკვეთა? საქსოვი მანქანების უკეთესად მოვლა და მაქსიმალური გამოყენება? დიახ, შეიძლება!“

ეს რწმენა მიჰყავს კომუნისტ ქალიშვილს და, რაც დრო გადის, მეტი მონდომებით ესწრაფვის შრომის ახალ მწვერვალს, წარმატების ახალ სიხარულს.

შალვა გულუა



მხატვარი თ. მირზაშვილი.

ლილი ფეშაშვილი

მე მაშინ ბავშვი ვიყავი. სოფლის ერთ რიყიან ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენი ეზო ხეხილით არ ამაყობდა; გზის მოპირდაპირე მხარეს ჩამუქებულ ლეღვის ხეს შევციცინებდი ხოლმე. ცოტა მარჯვნივ, მსხლის ხეები იყო ჩამწკრივებული. მაგრამ ისეთი ეკლიანი ღობე ერტყა, რომ ამაოდ ავუვლიდით და ჩავუვლიდით ხოლმე ბავშვები.

გზაზე გადმოწვდილი ლეღვის ტოტების ქვეშ მიყვარდა დგომა, ალბათ, იმიტომ, რომ ცდუნება მაქეზებდა — ხელი შეუწოდე მწიფე ლეღვსაო.

— რას შვრები, გოგო! — ისე დამკივლებდა ბაღჩის პატრონი, თითქოს მთელი დღე ლეღვის ხის ყარაულად მჯდარიყოს.

— თამრო ბაბო! რა კარგი ლეღვი გაქვთ! — ვეტყოდი ნირწამხდარი და ხელს გავუშვებდი მოწვდილ ტოტს.

— გოგო! უნდა ავიდე, დავკრიფო და შევწვა. თონის გახურებას ველოდები, აი! — იტყოდა და გაცლის მეტი აბა რა მრჩებოდა.

ლეღვის ჩამოკრეფა მეორე ეზოში შემეძლო. ისიც ეკლიანი მავთულით იყო შემოღობილი, მაგრამ თამრო ბაბოს ეზოსავით კი არ იყო მიუვალი, საურმე გზა შეუღობავი დაეტოვებინათ.

მიწური სახლის წინ უშველებელი ლეღვის ხე იდგა. ტოტები ისე დაბლა ჰქონდა დაშვებული, რომ ჩოქელაც ადვილად მიწვდებოდით. მისი პატრონი, მარო ბაბო, უწვრილშვილო ქვრივი იყო და ეზო სარკესავით დაკრიალებულ-დაგვილი ჰქონდა.

დამალ-დახუჭობანას თამაშის დროს ყველაზე ძალიან იმ ეზოში შერბენა და იმ ლეღვის ხის ქვეშ დამალვა მიყვარდა. ტოტებს ჯერ გარედან მოვადგებოდი და გულს ვიჯერებდი „ღვინა“ ლეღვით, მერე შიგნით გადავინაცვლებდი. რამდენიმეჯერ დამინახა კიდეც პატრონმა, მაგრამ არ დამიშალა და მისდამი მადლიერება ახლაც არ მავიწყდება.

ერთხელ, მარო ბაბოს ეზოდან, მიწური სახლის ღია ფანჯარაში, ლამაზი ქალი დავინახე. მივუახლოვდი. ქალს ფანჯრის რაფაზე რძიანი ჰიქა ედგა. მარო ბაბოს მიმართა:

— დედა, მარილი მომიტანე!

მარო ბაბომ პატარა, თეთრი ჯამფილით მარილი მოუტანა და იქვე დაუდგა. ქალმა გრძელი და ნატიფი თითებით მარილი მოხვეტა და რძეში ჩაყარა. კოვზით მოურია და დაიწყო ნელ-ნელა ხვრება, თან გარეთ იცქირებოდა. მე იქვე ვიდექი, მაგრამ ვერ შემამჩნია, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრად ჩამთვალა. მის ლამაზ, ნუშისებრ თვალებს არც გზაზე გამვლელი აინტერესებდათ, მხოლოდ სივრცეს გამყურებდნენ. მისი თვალთახედვა და ფიქრები შეუსაბამონი იყვნენ. ტალღისებური, წაბლისფერი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, მაჯის სიმსხო ორი ნაწნავი მოუჩანდა; შავი წარბ-წამწამნი უფრო ალამაზებდა თეთრყირმიზა სახეს. ხვრეპავდა რძეს პატარა, კოხტა ტუჩებით და ხანდახან თვალებში იდუმალი სევდა გამოუკრთებოდა ხოლმე.

ო, როგორ მეწადა გარეთ გამოსული დამენახა!

აი, დადგა ნანატრი დღეც. პირდაღებული შევცქეროდი ამ იშვიათ სილამაზეს: ბროლიდან ასხლეტილი სხივივით ელავდა და თვალს მჭრიდა. ტანშოლტილი მონარნარებდა და გნოლივით მოელერებინა ყელკისერი. უმწიკვლო და ლამაზ, მსხვილ თვალთაგან მომნუსხავ მზერას ისროდა: იღიმებოდა და შაქარივით თეთრ კბილებს მოანათებდა. ორი გრძელი და მსხვილი ნაწნავი კოხტად მოყვანილ თეძოებს ეთამაშებოდა და მის სიქექლუცეს აგვირგვინებდა

ო, როგორ იმოქმედა ჩემზე ამ სილამაზემ! ვილას ახსოვდა ლელვი! ახლა მხოლოდ იმისათვის მოვუხშირე იმ ეზოში სიარულს, ეგებ თვალი მომეკრა ამ მშვენებისათვის. ყველას გაუმხილე დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა. ვინაა და საიდან მოფრინდა ეს მბრწყინავი ვარსკვლავი, ყველას რომ აოცებს სხივთა ფრქვევით-მეთქი. და აი, რა მიამბო დედამ:

— შვილო, ადამიანის ენა ისეთი სასწაულმოქმედია, ყველამ რომ იცოდეს იმის ფასი, დიდ საოცრებებს მოახდენდნენო. მარო ბაბოს ერთი ბიჭი კიდევ ჰყავს, კვიმატი და მოსწრებული ენის პატრონი. სამ წელიწადს ჯარში იყო გურიაში და ეგ ქალი იქ შეჰყვარებია. სადღაც მოუხელთებია და ისე მოუხიბლავს თავისი ენამჭევრობით, რომ დედ-მამის ჩუმად წამოჰყოლია საქმროს.

— ბიჭიც ლამაზია?

— აღარ გახსოვს, შვილო? ჩვეულებრივი, ქართული ყაიდის ვაჟია, შავგვრემანი და ქოჩრიანი. მაგრამ ენა, ენა ისეთი აქვს, რუსთაველს რომ უთქვამს — „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო", გველი კი არა და, ერთადერთი შვილი მოსტაცა მის მშობლებს. ჯარში სამსახური რომ გაათავა, თავის საცოლესთან ერთად გამოემგზავრა აქეთ.

— ნეტავ, ისეთი რა უთხრა, ასე ჩუმად რომ გამოჰყვა?

— აბა, შვილო, იმას როგორ აღვწერ, რასაც ის ეტყოდა, მაგრამ ხალხში ასეთი ხმა კი გამოვიდა:

წამოსვლისას, გზაზე, პატარძალს უკითხავს — ჩემო ვახტანგ, როგორია ჩვენი სახლი?

— როგორი და, ჩემო მშვენიერო, მეფურია, მეფური!

ათთვალიანი სახლი მაქვს
წალკოტით დამშვენებული,
გარს გალავანი არტყია
ბეტონით აშენებული.
ეზოს ბაღნარის სიტურფე
შენებრ, მზის შესადარია;
მამაპაპური სამკვიდრო
და ჩემი ამაგდარია.
სახლის წინ დიდი ლელვი დგას
ზაფხულის საგრილობელი,
მის ქვეშ სავანე მოგიწყე,
და ჩვენი სალხინობელი.
აღარც მზე გვინდა, არც მთვარე,
აღარც ვარსკვლავთა ნათება,
შენა ხარ ყველას შემცვლელი.
და ჩემი გრძნობის ანთება.

აბა, პატარძალს რაღა ეთქმოდა, სიხარულისა და მადლობის მეტი!

საღამოს მატარებლით მოვიდნენ სადგურზე. იქიდან ფაიტონით წამოვიდნენ, ელექტრონით გაჩირაღდნებულ ორსართულიან სახლებსა და ცხენების ეჟვნების ჟღარუნს სულ გაუბრუებია ჩვენი პატარძალი და როცა სასიძო გატრუნულა, მერე პატარძალი ატიტინებულა:

— ვახტანგ, ეს არის ჩვენი სახლი? — და თითს ჩახჩახა, ორსართულიანი სახლებისაკენ იშვერდა, რომელთაც ვახტანგის მიერ აღწერილი გალავანი ერტყათ და შიგ წალკოტი ჩამუქებოდათ. ასეთი სახლის წინ რამდენიმეჯერ გაჩერდნენ და მგზავრები ჩამოვიდნენ, მაგრამ არა და არა! ჯერ არ მისულან თავიანთ სახლთან!

ეჟვნების ჟღარუნით მობქრის თურმე ჩვენი სოფლის ქვაფენილზე ოთხცხენიანი ფაიტონი და მეეტლეც წამახალისებლად უწრუპუნებს თავის ცხენებს.

ორნიღა დარჩნენ — ჩვენი ვახტანგი და მისი პატარძალი.

აი, გაჩერდნენ დაბალი, მიწური სახლის წინ და ვახტანგმა ხელი გაუწოდა:

— ჩემო მშვენიერო, გადმოვიდეთ, ჩვენ უკვე მოვედით. აქ ჩემი დეიდა ცხოვრობს და თუ არ ვინახულეთ, უხერხულია.

აბა, რაღას იზამდა, დაჰყვა თავისი საქმროს ნებას. მაგრამ გულმა კი რაღაცნაირად უყო რეჩხი.

მეორე დილას პატარძალს შინ წასვლა მოუთხოვია.

— ეს არის, ჩემო მშვენიერო, ჩვენი სახლიც და ჩვენი სამეფოც.

— რატომ მომატყუე, შე უსვინდისოვ?

— შენ როგორ მოგატყუებდი, ჩემო ღვთაებავ, რაც გითხარი, ყველა მართალია.

— აბა, სად არის შენი ათთვალიანი სახლი?

— წამოდი, გაჩვენებ. — და შენს ვახტანგს ჯერ ოთახში შეუყვანია:

— ეს ერთი! — მერე საკუჭნაოში.

— ეს ორი! — მერე მარანში:

— ეს სამი... ჰო, ასე, მიყოლებით უჩვენებია ბოსელიც და საქათმეც კი. ერთი სიტყვით, რაც იმ ეზოში ნაგებობა და ქოხი იყო, ათ თვალზე მეტი გამოსულა.

— რაღას იზამდა პატარძალი, ბედს დამორჩილდა. — ასე დაამთავრა დედაჩემმა.

მახსოვს, როგორ გათენდა ოცდაორი ივნისის დღე. თავშესაქცევად რატომღაც ვერც ერთი ბავშვი ვერ ვიპოვნე. ისევ მარო ბაბოს ეზოს გამოვუარე. დავღონდი, პატარძალს რომ ვერ შევავლე თვალი.

უცებ მზის გულზე დაიჭექა და შავი ღრუბლები წამოვიდა. ვიფიქრე, ვაითუ სადმე შეფარებაც ვერ მოვასწრო-მეთქი, მართლაც, გაწვიმდა. მაგრამ რა გაწვიმდა, ასე მეგონა თავზე ხართუთა მაცვივა-მეთქი. წვიმისაგან ბუქი ავარდა და ირგვლივ მიწის სუნი დადგა, ძლიერ ნაცნობი და სასიამოვნო. ვიღაცამ დაიძახა:

— რადიომ გამოაცხადა ომი დაიწყოო, ომი!

ახლა აქედან გაეპასუხნენ:

— ვინ, როდის, სად?!..

სახლში გავიქეცი...

მეტი არაფერი დამამახსოვრდა იმდღევანდელი ამბისა. შემდეგ დღეებშიაც ცვლილებას ვერ ვამჩნევდი, ბავშვური თვალით ძნელი გასარკვევი იყო ქუჩისათვის ცვლილება შემეტყო. ბავშვები ისევ ისე დამალ-დახუჭობანას ვთამაშობდით. ისევ მარო ბაბოს ლელვის ქვეშ ვიმალებოდი და ვხედავდი, რომ პატარძალი ერთთავად მოწყენილი იყურებოდა გარეთ.

მისი სახე ჩარჩოში ჩასმული სურათივით მოჩანდა. მე იგი მიყვარდა ბავშვური, ალალი გულით.

ერთხელ შევნიშნე, რაღაცას კითხულობდა. დედამ მითხრა — ვახტანგი ომის დაწყებისთანავე გამოიძახეს და მეტი არაფერი იციან მასზეო. გზიდან წერილი მოუწერია თავისი ლამაზი ცოლისათვის და, ალბათ, ის წერილი უდევს წინ, დღენიადაგ რომ კითხულობსო.

ერთხელ, ფანჯარაში ვეღარ დავინახე, აღარც მეორე დღეს, აღარც მესამე დღეს და აღარც არასოდეს...

— აბა, რაღას დაუცდიდა, შვილო, ალბათ, თავის დედულეთში წავიდაო, — მითხრა დედამ.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა...

მე ისევ ვნახე ჩემი ბავშვობის ქუჩა. მარო ბაბოს ლელვი ისევ იქაა. ოღონდ ახლა ისეთი დიდებული და უშველებელი აღარ მეჩვენა, როგორც მაშინ.

ახლა იმ ეზოში პატარა მიწური სახლი კი აღარ იდგა საოცნებო ფანჯრით, არა! ვახტანგის უმცროს ძმას ორსართულიანი სახლი წამოუჭიმია, გარშემო ბეტონის ქვითკირით შემოუღობავს, იქაურობა კი წალკოტად უქცევია. იქ ჩვეულებრივი ცხოვრება დუღდა მთელი სისავსით.

ო, როგორ მეწადა ის ძველი სახლი დამხვედროდა სანატრელი ფანჯრით. არც დიდი ჭიშკარი მომეწონა, ჩემი ბავშვური თვალისათვის საყვარელი ადგილები ასე რომ ამოუქოლავთ.

— სადღაა ლამაზი პატარძალი? — ამაოდ ვეძებდი მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯულიეტა — „რომეო და ჯულიეტა“.

# თაობების სიყვარულით

1928 წლის 11 ნოემბერი მისი მდიდარი თეატრალური ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი თარიღია: ამ დღეს თბილისის ოპერის თეატრში შედგა პრემიერა პიესისა „ფრიც ბაუერი“, რომლის დადგმაც რეჟისორმა ალ. თაყაიშვილმა განახორციელა. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. სწორედ ამ დღიდან მოიპოვა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დამოუკიდებლად არსებობის უფლება. ამ დღესვე გადაწყდა თამარ თვალიაშვილის ბედიც — იგი განუყრელად დაუკავშირდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს. ამ დღიდან ეძიებდა იგი გზებს პატარა მაყურებელთა გულებისაკენ, ეძიებდა დაუშრეტელი ენერგიით, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობით. თამარს უყვარდა რეჟისორ ალ. თაყაიშვილთან მუშაობა. რეჟისორის კითხვაზე: რომელი როლი გინდათ? — მსახიობი სწორ პასუხს აძლევდა: რომელსაც თქვენ მირჩევთ — თქვენ უკეთ ხედავთ“. ამ ხედვამ ორთავეს დიდი წარმატება მოუტანა.

თავისი სასცენო მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე თამარ თვალიაშვილმა ასზე მეტი როლი განასახიერა. არის თაობა, რომელსაც სამუდამოდ დაამახსოვრდა მისი ქაჯანა, ძანძარინო („კაცი შავი სათვალეებით“), განსაკუთრებით ზურაბი („სურამის ციხე“). სპექტაკლ „სურამის ციხის“ დამთავრების შემდეგ მსახიობი არ იხსნიდა გრიმს, რათა დაემშვიდებია კულისებში შემოსული აცრემლებული ბავშვები, რომლებიც საშინლად განიცდიდნენ ზურაბის ტრაგედიას.

ანდა მისი პავკა! ოსტროვსკისეული პავკა კორჩაგინი! სამშობლოს სიყვარულის, ბრძოლის, ერთგულებისა და თავდადების დიდებული სპექტაკლი. პავკა და ჟუხრაი (მსახიობი ბ. გამრეკელი) — ეს შესანიშნავი პარტნიორები, ადამიანები, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი გადიოდნენ ახალი ცხოვრების გზაზე.

დრო გადიოდა. ახალგაზრდა მსახიობი კიდევ უფრო მეტ ოსტატობას იძენდა. მაყურებელი შეეჩვია იმ აზრს, რომ თამარ თვალიაშვილი მხოლოდ ვაჟთა როლების განმასახიერებელი მსახიობი იყო. და, აი, სრულიად მოულოდნელად, რეჟისორმა ბ. გამრეკელმა თამარს მარია ივანოვას (კაპიტანის ქალიშვილი) როლის შესრულება მიანდო. მარია პირველი ქალის როლია, რაც თვალიაშვილმა თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სამსახიობო მოღვაწეობის შემდეგ განასახიერა. ამ როლზე მუშაობისას მსახიობს საოცარი გრძნობა დაეუფლა — დაახლოებით ასეთი გრძნობა: მას შემდეგ, რაც ცურვას ისწავლით, აღარ გეშინიათ ზღვის, სიღრმის, სივრცის... წევხართ წყალზე დიდი ფიქრით, დიდი განცდით. და თამარ თვალიაშვილს ეს ახალი როლიც ასეთ სიამოვნებას ანიჭებდა თითქოს და გამარჯვებამაც უფრო მეტი გამბედაობა შემატა. მაყურებელმა თბილად მიიღო მისი ციაგაც — (გაბუნიას „ორჯონიკიძის ხმალი“). ეს მთიელი გოგონა ძალზე ლირიკული, ძალზე პოეტურია.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, თეატრის მაჯისცემა წამითაც არ შენელებულა. შეიქმნა მთელი ციკლი დადგმებისა „გამოძგოსებლები“, „პარტიზანები“, „ჩვენი ახალგაზრდობა“, — და ყოველ სპექტაკლში ჩანდა საბჭოთა ადამიანების, ახალგაზრდობის, ბავშვების შეუპოვრობა, მაღალი სული, სწრაფვა გამარჯვებისაკენ. თამარ თვალიაშვილი ამ სპექტაკლებში იყო მგზნებარე, პატრიოტულად შემართებული და ნორჩი მაყურებელიც ანთებული ადევნებდა თვალს სპექტაკლის მსვლელობას.

და აი, სწორედ მაშინ, ომის დაძაბულ პერიოდში, რეჟისორმა ალ. თაყაიშვილმა განიზრახა სიყვარულისაკენ დაებრუნებინა ადამიანები, რომ მათ კვლავ შეეგრძნოთ ადამიანის ამ უფაქიზესი გრძნობის გამარჯვების დიადი ძალა. ამ მიზნით, მან აირჩია ყოველი ეპოქის თანამედროვე შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. რეჟისორმა თავისი ჩანაფიქრი ბრწყინვალედ დააგვირგვინა და დათრგუნა სიკვდილი, როდესაც ცოცხალი რომეოსა და ჯულიეტას ძეგლით, სიყვარულის უკვდავების ძეგლით დაამთავრა სპექტაკლი. რეჟისორი არც მაშინ შემცდარა, როდესაც ჯულიეტას როლის შემსრულებლად თ. თვალიაშვილი აირჩია. მისმა ჯულიეტამ მართლაც გააოცა და გაახარა მაყურებელი. მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან ჩამოსულმა სტუმრებმა აღნიშნეს თამარ თვალიაშვილის აქტიორული ოსტატობა, მისეული ჯულიეტას ბავშვური გულუბრყვილობა და ღრმა ფილოსოფიაც.

მსახიობი თ. თვალიაშვილი კვლავ შეხვდა შექსპირს კომედიაში — „ჭირვეულის მორჯულება“, და ეს ახალი შეხვედრა მეტად საპასუხისმგებლო იყო. მისი, როგორც ჯულიეტას როლის ერთ-ერთი ბრწყინვალედ შემსრულებლის სახელი გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და მასზე უცხოეთის პრესაშიაც ალაპარაკდნენ. ინგლისის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა სურათები თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ამ სპექტაკლიდან. თ. თვალიაშვილის ჯულიეტას უდიდეს შეფასებას აძლევდა ცნობილი შექსპიროლოგი პროფესორი მ. მოროზოვი. და ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ მსახიობი ასეთი პასუხისმგებლობით მოეკიდა ბიანკას როლს. მან შესანიშნავად დასძლია ეს რთული სახე და საკუთარი ხელწერა შეიტანა მის გახსნაში.

იმ მრავალრიცხოვან სახეთა შორის, რომლებიც თ. თვალიაშვილმა შექმნა, საინტერესოდ იყო წარმოდგენილი პოლინას სახე ა. ოსტროვსკის პიესაში — „შემოსავლიანი ადგილი“. აქ მსახიობი ღრმად ჩაწვდა თავისი გმირის სულიერ სამყაროს და უჩვენა პოლინას ტრაგედია — მისი გაორებული სული, მისი შინაგანად კრისტალური ბუნებაც და მეშჩანური აღზრდის კვალიც. იმარჯვებს სიწმინდე; პოლინა მეუღლეს შესთხოვს, წავიდეთ აქედან, არ გვინდა შემოსავლიანი ადგილიო. დიდი დამაჯერებლობითა და სიმართლით განასახიერა თვალიაშვილმა ეს ეპიზოდი.

მსახიობის მრავალფეროვან პალიტრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამშვენებს პატარა მეგის სახე („ალმასის საპადოები"). მისი მეგი კეთილშობილი, ლირიკული და ამავე დროს მედგარი გოგონაა. გასაჭირი უფრო მეტად აწრთობს მის ფაქიზ სულს. ამიტომაც ძნელია მეგის დავიწყება მათთვის, ვისაც კი უნახავს ეს სპექტაკლი.

შეუძლებელია ყველა როლის ჩამოთვლა, რომელიც მსახიობს შეუსრულებია, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თ. თვალიაშვილის ნუკრი რ. ქორქიას პიესაში — „მართალი კაცი". დაუვიწყარია მსახიობის ცხოვრებაში პრემიერის დღე, რომელიც პირველი შვილიშვილის დაბადების დღეს დაემთხვა. ამიტომაც პატარას სწორედ ნუკრი დაარქვა ბებიამ. ნუკრი — სათნოების, სისპეტაკის, სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლო. სწორედ ასეთი იყო შვლის ნუკრი თ. თვალიაშვილის შესრულებით. მაყურებელს დიდხანს ახსოვდა პატარა, ბუჩქს ამოფარებული შეშინებული ნუკრის სახე.

დიდია თ. თვალიაშვილის დამსახურება თეატრის წინაშე, არა მარტო როგორც მსახიობისა, არამედ როგორც რეჟისორისაც. მან 1958 წელს დადგა ნ. ფომიჩევას პიესა „ასე იწყება ცხოვრება". ამასთან ერთად აღადგინა მრავალი სპექტაკლი, რომლებიც თეატრმა რევოლუციურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა ციკლიდან დადგა, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „კიკვიძე", „ლადო კეცხოველი". თ. თვალიაშვილმა დიდი სიყვარულითა და მონდომებით აღადგინა სპექტაკლი „წითელქუდაც". რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა. და აქაც, პატარა კურდღლის სულ უმნიშვნელო როლში მეგობრობისა და თავგანწირვის ამაღელვებელი ამბავი მოგვითხრო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თ. თვალიაშვილის მიერ ახალგაზრდული გატაცებით და გზნებით შესრულებული კაკოს როლი ირ. არაყიშვილის პიესაში „უკანასკნელი ორიანი". თვით სათაურიც კი პიესისა რაღაც სიმბოლიური აღმოჩნდა მსახიობისათვის. ეს იყო უკანასკნელი როლი, რომლითაც თამარ თვალიაშვილმა დაამთავრა თავისი სამსახიობო მოღვაწეობა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე, როგორც ბიჭუნების უბადლო განმასახიერებელმა. ახლა მსახიობი მაყურებლის წინაშე წარსდგა ახალი ამპლუით — დიდედის როლით და იგრძნო, რომ კიდევ უფრო პასუხსაგები მისია დაეკისრა — მისია მომავალი თაობის სწორად აღზრდისა. სწორედ ამ თაობის სიყვარულმა მიიყვანა იგი კოჯრის უდედმამო ბავშვთა სახლში, სადაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივს.

თ. თვალიაშვილი ახლაც გატაცებით მუშაობს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, რადიოში, ფილარმონიასა თუ კინოსტუდიაში. უმწიკვლო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, მედლებითა და სიგელებით. თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის თამარ თვალიაშვილს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

დალი მელქაძე

118/37



ზურაბი — „სურამის ციხე".



მარია ივანოვნა — „კაპიტანის ქალიშვილი".

ამ ნარკვევს ჩვენი ჟურნალის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მეორე პრემია მიენიჭა

# რომელ კლასში ხარ, გოგონა?

ხშირად ხდება ხოლმე, რაღაცასთან დაკავშირებით, მელოდია ან ფრაზა აგედევნება და კარგა ხანს გაგყვება, და მეტიც, შეიძლება, შენი ცხოვრების რომელიმე მონაკვეთს ეპიგრაფადაც წაემძღვაროს.

1956 წლის აგვისტოს მიწურულში, ჩემოდნითა და ლაბადით ხელში, ნელი ნაბიჯით ავუყევი ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის აღმართს. თვალიდან არ მშორდებოდა დედის ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი, როცა, თვენახევრის წინ ინსტიტუტიდან დაბრუნებულმა, ამაყად განვაცხადე: მაღალმთიან რაიონში გამამწესეს-მეთქი.

თვალწინ წარმომიდგნენ სტუდენტი და, პატარა ძმები, მამის აღტაცებული მზერა, ჩემი გაბედული გადაწყვეტილებით გამოწვეული. თვალწინ წარმომიდგნენ მეზობლები, ნაცნობები, პატარ-პატარა ურთიერთობაშემთხვევები, ინციდენტები, ეპიზოდები ჩემი ცხოვრებიდან. ალბათ, ასე ხდება ყოველთვის, როცა ახალ ნაბიჯს დგამ ცხოვრებაში, უნებლიეთ გებადება სურვილი, გონებაში გადაფურცლო განვლილი ცხოვრების იდუმალი წიგნის ფურცლები... გადაფურცლო და ამოიკითხო.. ფიქრი ფერდობზე ხტუნვა-ხტუნვით ჩამომავალმა გოგონამ გამიწყვიტა: — „რომელ კლასში ხარ, გოგონა"? შევაჩერე ტრადიციული კითხვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც ჩვენში რატომღაც პატარებს გამარჯობის ნაცვლად მიმართავენ. გოგონას პასუხი არც კი გამიგონია, ჩემში უჩუმარი ზარი შემოჰკრა მეხსიერებამ და ტკბილ მელოდიასავით გაისმა — „რომელ, კლასში ხარ,



გოგონა?“ ხევმა ექო გაიღო — „რომელ კლასში ხარ, გოგონა?“.. ახმიანდნენ მოგონებები და გამახსენდა ჩემი ბავშვობის ერთი ეპიზოდი:

1948 წელია, გაზაფხულის პირბადრი დილა. დედამ ადრე გამაღვიძა. საბნის გადახდამ შემაკრთო... დედას კვალდაკვალ მივუყვებოდი ვიწრო ბილიკზე. ბალახს ცვარი გამოჰყოლოდა, ეტყობოდა, დღესაც თაკარა სიცხე ჩამოწვებოდა შუადღისას...

ვკაფავდით ეკალბარდს მე და დედა, საყანე მიწას ვტაცებდით ჯაგნარს, ვანთებდით ბონდოებს, და ეს ბონდოები არ ჰგავდა ქიაკოკონობისას დანთებულ ბონდოს, რომლის ზედგადავლების სურვილი გვეკიდებოდა ბავშვებს. აქ არ ისმოდა ყმაწვილების ჟრიამული. ვიყავით მე და დედა, და იქვე, მეზობლად, თხრილს გაღმა, სიმპათიური გარეგნობის ქალი, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, გაუხარდა ჩვენი მისვლა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და დედას გამოსძახა: ასანთი ხომ არ გექნებათ, ქალბატონო?

— გაურბენინე, — მითხრა დედამ, თანაგრძნობით სავსე თვალები ჰქონდა იმ ქალს. — რომელ კლასში ხარ, გოგონა? — ასანთის ჩამორთმევისას მომესმა სათნო ხმა.

არა, ეს არ იყო ხმა, ეს იყო ზარი, რაღაც ძლიერად შემოკრული, დიდი ფოლადის ზარი, ხმა იმ ზარისა, რომელიც ეკლესიის გუმბათიდან ჩამოხსნეს და ჩვენი სოფლის სკოლის აივანზე გამოჰკიდეს. ეს ზარი უხმობს ყოველ დილით მოსწავლეებს სკოლაში. პირველი ზარი შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე ირეკება, მეორე — ცხრის ნახევარზე, მესამე — ცხრაზე, ამ ზარის ხმაზე მიიჩქარიან სკოლისაკენ გოგო-ბიჭები დილით და ამ ზარის შემდეგ ბრუნდებიან შუადღისას შინისკენ. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ ქალს ავხედე თავშეკავება აღარ შემეძლო, ცრემლები წამსკდა. ქალი სახტად დარჩა. დედა მომვარდა...“ მეზობელი დაამშვიდა: თქვენი ბრალი არაფერიაო; მერე ოფლი მოიწმინდა და მოკლედ მოუყვა უცნობს ჩვენი ოჯახის ამბავს. მოჰყვა, როგორ წავიდა მამა ჯარში და როგორ დაუბარა დედას; ელვისებური ომია, ორ თვეში გავანადგურებთ გერმანელ ფაშისტებსო. უამბო, როგორ წამოვედით ქალაქიდან სოფლად, რომ ოთხ პატარა ბავშვს ლუკმაპური არ მოგვკლებოდა. მე ვიგრძენი უცნობის თანამგრძნობი მზერა, როცა დედა ჩემზე ამბობდა: „ეს ჩემი უფროსი შვილია, 12 წლისა, ქების სიგელით გადავიდა მე-8 კლასში, სკოლას თავი მივანებებინე, სხვა გამოსავალი არ მქონდა, ბავშვები პატარები არიან. ახლა, ამხანაგებს ჩამორჩა, წელი უცდება და ძალიან განიცდის, პატარებთან როგორ დამსვამენო — ამბობს, ტანადაც მოსული ბავშვია. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვის, წიგნებში აქვს თავი ჩარგული. არ ვიცი, როგორ იქნება მაგისი საქმე. საკმარისია, ვინმემ სკოლა ახსენოს, და ტირილს ვეღარ იკავებს“.

უცნობი ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და დედას უთხრა: — ხვალ ეს ბავშვი სკოლაში ამომიყვანე, დირექტორს მოველაპარაკოთ, იქნებ, რამე გვირჩიოს.

მეორე დღე ორშაბათი იყო. მე და დედამ მოკრძალებით შევაღეთ დირექტორის კაბინეტის კარი. დირექტორის მაგიდას ის ჩვენი მეზობელი ქალი უჯდა. მას უკვე გადაეწყვიტა გამონაკლისის დაშვება და ჩემი სკოლაში მიღება.

მეოთხედის მიწურულში კარგი სწავლისათვის კლასის დამრიგებელმა ვალიდა მუავანაძემ ზღაპრების წიგნი მაჩუქა, წიგნი, რომელიც ძვირფას რელიქვიად შემორჩა ჩემს ბიბლიოთეკას. ომიც დამთავრდა, ქალაქსაც დაუბრუნდა ჩვენი ოჯახი, საშუალოც დავამთავრე, დავამთავრე ინსტიტუტიც და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩემს გონებას და გულს არ შორდებოდა შავებში ჩაცმული ქალის კეთილი ღიმილი და მელოდიური ნათქვამი — „რომელ კლასში ხარ, გოგონა?“ ბევრჯერ მქონია სურვილი მენახა იგი, მესაუბრა მასთან, მაგრამ ყოველთვის თავს ვეუბნებოდი: მივაღწევ დიდ რამეს, შევქმნი რამე კარგს, მერე მივალ და მოვინახულებ, გამოვეცნაურები, გავახარებ-მეთქი. შორიდან მესმოდა: მკაცრი და ზვიადი ქალია, წესრიგის მოყვარულიო. ბევრჯერ წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრა, წინასწარ მომზადებული სიტყვებიც მითქვამს მისთვის იდუმლად. გაღიმებია, მომხვევია, მიტირია მის კალთაში. ასე, ოცნებაში, ჩემთვის ეს ადამიანი ძალიან ახლობელი და მშობლიური გახდა. და აი თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ მე ფოტოაპარატით მართლა ვესტუმრე მას, მახარაძის № 8 საშუალო სკოლაში. არ ვიცოდი, საიდან და როგორ დამეწყო. მერე გავიღიმე და ვუთხარი. მე ის ვარ, ტუშა მასწავლებელო, ვისთვისაც თქვენ კანონი დაარღვიეთ-მეთქი. გაოცდა, ვერ გაიგო, რა კანონის დარღვევაზე ველაპარაკებოდი... მე სათქმელს ძლივს მოვუყარე თავი. მერე გაეღიმა, გაეღიმა, მაგრამ ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დღე ვერ გაიხსენა.

გავოცდი, სადღაც მეწყინა კიდეც, არაფერი მითქვამს. პასუხი კი ტუშა მასწავლებლისაგან ახლახან მიღებულ წერილში ამოვიკითხე: კეთილი საქმის სილამაზე, ჩემო მადლიერო მოსწავლევ და კოლეგავ, სწორედ იმაშია, რომ იგი ნაკლებად ამახსოვრდება მას, ვინც მოიმოქმედებს და ძლიერად მას, ვისთვისაც მოიმოქმედებს“. ვკითხულობ იმ ადამიანის ნაწერს, რომელმაც, ერთი შეხედვით, გაიგო ჩემი წუხილი, გრძნეულივით ჩაიხედა ჩემს ბავშვურ გულში და მისალბუნა. მანვე დამანათლა პედაგოგობა. ვკითხულობ მის ნაწერს და ვგრძნობ მძლავრ ენერგიად შემატებულ სითბოს სიკეთისას და სათნოებისას.

„სამოძღვროდ გამოსვლა და ქვეყნის ცარიგება ადვილი საქმე არ არის“. — თითქოს გამაფრთხილებლად ისმის დიდი ილიას სიტყვები. არ ყოფილა ადვილი ტუშა მასწავლებლის სამოღვაწეო გზა. საქართველოს ბევრ სოფელსა და რაიონში უმუშავნია, ბევრი თავსატეხი ამოცანის წინაშე დაუყენებია იგი ცხოვრებას და ყოველთვის სწორად გადაუჭრია. ბევრი დაუყენებია სწორ გზაზე, ბევრი აუვსია რწმენით. 40 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ კვლავ მხნე და ენერგიით სავსე, მკაცრი და სამართლიანი მუშაობაში, სათნო და ღიმილიანი ოჯახში, შვილიშვილებთან, — ასეთია ის, მახარაძის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ტუშა დოლიძე.

მე ვნახე დამსახურებული ჯილდოები, ვნახე ათასობით აღზრდილთა სამადლობელი წერილები, და უნებლიეთ მომაგონდა ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის — იაკობ გოგებაშვილის ნათქვამი: — „ხე ნაყოფით იცნობება“.

კიდევ ერთხელ ვათვალიერებ ჩემს მაგიდაზე ფოტო სურათებს, რომლებიც ტუშა მასწავლებელთან სტუმრობისას გადავიღე და თვალწინ მიდგას ტანძლიერი, სიკეთისა და სათნოების ნაყოფით დახუნძლული ხე, რომლის მადლიან ფესვებზე გაზაფხულის ყვავილებივით ფოფინებენ პატარები.

სულიკო სალუქვაძე,
ხელვაჩაურის რაიონის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ალბერტო მორავია

# ნუ ხარ აბეზარა!

აგნესას შეეძლო, როგორღაც გავეფრთხილებინე და ისე წასულიყო. ასე ფეხებზე არ უნდა დავეკიდე. ვერ ვიტყვი, უნაკლო ვარ მეთქი, მაგრამ ეთქვა, რას მამჩნევდა ურიგოს და ერთად ვიმსჯელებდით.

ორი წელი ვცხოვრობდით ერთად და ერთი საყვედურიც არ მახსოვს მისგან. ჰოდა, უცებ, ერთ მშვენიერ დილას, ისარგებლა ჩემი შინ არ ყოფნით და, შინამოსამსახურეებმა რომ იციან, ისე, იშოვნა უკეთესი ადგილი და წავიდა. აგერ, უკვე შვიდი თვეა მას აქეთ და კიდევ ვერ გამიგია, რად ჩაიდინა ეს აგნესამ.

...იმ დილით ბაზარში გავედი (ძალიან მიყვარს საყიდლებზე სიარული)! ბაზრის შემდეგ მაღაზიაში შევიარე — მეტრნახევარი ფოჩებიანი არშია უნდა მეყიდა ფარდისთვის. არ მიყვარს ზედმეტის გადახდა და ამიტომ ბევრი მაღაზია შემოვიარე. არ მოვეშვი, სანამ ისეთი არ ვიშოვნე როგორიც მინდოდა.

სახლში თორმეტის ოც წუთზე დავბრუნდი. არშია რომ ფარდისათვის შემედარებინა, სასტუმრო ოთახისკენ გავემართე. უცებ, მაგიდაზე შევნიშნე სამელნე, საწერ-კალამი და წერილი. უნდა გამოგიტყდეთ, საშინლად აღმაშფოთა სუფრაზე დაღვრილმა მელანმა. მაინც როგორი ფეთხუმი უნდა იყო, რომ ამხელა ლაქა დაამჩნიო რამეს? სასწრაფოდ ავშალე სუფრა, სააბაზანოსკენ გავემართე და იქამდე ვჭეჭყე, სანამ ლაქა პირწმინდად არ ამოვაშორე. შემოვბრუნდი სასადილოში, მაგიდას სუფრა გადავაფარე და ბოლოს წერილიც გამახსენდა. ეს წერილი ჩემდამი — ალფრედოსადმი იყო მოწერილი. გავხსენი და წავიკითხე: „სახლი დავალაგე. სადილი კი, როგორც ყოველთვის, შენ გააკეთე. მშვიდობით. მე დედასთან ვბრუნდები. აგნესა“.

პირველად გონს ვერ მოვედი, ისევ გადავიკითხე წერილი და ბოლოს მივხვდი, რომ აგნესამ ორი წლის ოჯახი დაანგრია. წერილი ჩვეულებისამებრ, კარადის უჯრაში შევინახე, სადაც სხვადასხვა კულინარულ რეცეპტებს ვინახავ ხოლმე. არ ვიცოდი რა მექნა და ფანჯარასთან ჩამოვჯექი. ამ დროს იატაკზე ჯაგრისის ბეწვი დავინახე, რომელიც, ალბათ, აგნესას დაუვარდა პალტოს წმენდისას. დავწვდი და ფანჯარაში გადავუძახე. მერე ქუდი დავიხურე და გარედ გავედი: მაინც, რამ აიძულა აგნესა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა რომ გაბედა? ჩემი შეურაცხყოფა მოუნდა? მაინც რას მწამებს? იქნებ, ღალატს? რაც აგნესა შევირთე, ის დღე იყო და ის დღე, ქალები აღარ არსებობენ ჩემთვის. მე, საერთოდ არაფერი მესმის ქალების. აგნესა ხშირად მკითხავდა ხოლმე?

— რას იზამ, სხვა ქალი რომ შეგიყვარდეს?

მახსენდება როგორ ჩუმდებოდა ხოლმე, როცა ვეტყოდი — სიკვდილამდე შენ მეყვარები-მეთქი.

ახლა, ფინანსიურ მხარესაც გადავხედოთ: აქაც არაფერი აქვს სათქმელი. ფულს ხელში არასოდეს არ ვაძლევდი, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. ან კი რად უნდოდა ფული? რასაც მთხოვდა, მზად ვიყავი მაშინვე მეყიდა მისთვის, თუმცა იშვიათად მთხოვდა რაიმეს. აბა, რაღა უნდოდა მეტი? კვირაში ორჯერ — კინო. ორჯერ — თეატრი. ორჯერ კაფე-რესტორანი, სადაც მას შეეძლო აერჩია, ნაყინს მიირთმევდა თუ ფინჯან ყავას. თვეში ორი ილუსტრირებული ჟურნალი. გაზეთი ყოველდღე. ზამთარში ოპერა. ზაფხულში დასვენება მარინოში, მამაჩემთან. ეს — გართობა.

ახლა რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას. თუკი რამეს მთხოვდა, უყოყმანოდ ვუყიდდი ხოლმე. თვითონ ვეხმარებოდი წინდის თუ ცხვირსახოცის არჩევაში. არ მახსოვს, მარტო გამეშვას მკერავთან ან მექუდესთან. თუმცა ქორწინების შემდეგ საერთოდ აღარაფერი შეუკერია. ერთი სიტყვით, მისი წასვლის მიზეზი მე არა ვარ. ვექილის ენით რომ ვთქვათ, ალბათ, ხასიათით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. არადა, როგორ ვერ შევეწყვეთ, თუ ორი წლის მანძილზე ერთი უსიამოვნებაც არ გვქონია?

აგნესა არასოდეს მეწინააღმდეგებოდა. საერთოდ, არ ლაპარაკობდა, იყო ისეთი საღამოები, რომ პირიც არ გაუღია. ვლაპარაკობდი მე. ძალიან მიყვარს ლაპარაკი და საკუთარი ხმის სმენა. განსაკუთრებით ავეჯზე, ფასებზე, გათბობაზე და სხვა ოჯახურ საქმეებზე. იმდენად შევიჭრები ხოლმე როლში, ხშირად ვიჭერ თავს ერთიდაიგივეს გამეორებაზე. აბა, ერთი მიბრძანეთ, განა ყველაფერი ეს იმას არ მოწმობს, რომ კარგი მეუღლე ვარ? ან სხვა რაზე უნდა ელაპარაკო ქალს? აგნესა ყოველთვის დიდი ყურადღებით მისმენდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა ელექტროშემდუღებლის მუშაობას ვუხსნიდი, ჩაეძინა. მე განცვიფრებულმა გავაღვიძე და ვკითხე.

— შენ რა, არ გაინტერესებს, რასაც ვყვები?

— დავიღალე, აღარ შემიძლია, — მიპასუხა მან.

საერთოდ, მამაკაცები დროს სამსახურში და მეგობრებთან ატარებენ. ჩემთვის კი აგნესა იყო ყველა და ყველაფერი. გაგიკვირდებათ, რომ გეტყვით, მაგრამ მე მას მაშინაც არ ვცილდებოდი გვერდიდან, როცა დედამისი გვესტუმრებოდა ან მოსწავლეს ამეცადინებდა ინგლისურ ენაში. ასე გასინჯეთ, სამზარეულოშიც ვეხმარებოდი: კარტოფილს ვფცქვნიდი, ლობიოს ვარჩევდი, ფარშს ვამზადებდი, ქვაბებს ვრეცხავდი. ყველაფერ ამას ისე ოსტატურად ვაკეთებდი, რომ აგნესა მეტყოდა ხოლმე — უმჯობესია, შენ გააკეთო, მე წავალ და წამოვწვები, თავი ამტკივდაო. მეც დიდი სიამოვნებით ვრჩებოდი სამზარეულოში და კულინარული წიგნების დახმარებით ვამზადებდი სადილებს. აგნესას ჭამის მადა არა ჰქონდა. ბოლო დროს სულაც აღარაფერს ჭამდა. ერთხელ მითხრა — შენ შეცდომით ხარ კაცად დაბადებულიო. უნდა გამოგიტყდეთ: ძალიან მიყვარს რეცხვა, უთოობა, ცხვირსახოცების შემოკეცვა და სხვა.

მე ისეთნაირად ვიყავი მიჯაჭვული აგნესაზე, რომ ხანდახან სასაცილო მდგომარეობაშიც ვვარდებოდი. ერთხელ, მაგალითად, რესტორანში ვართ, აგნესამ ყურში რაღაც ჩამჩურჩულა და მეც ინსტიქტურად გავყევი. გონს მაშინ მოვედი, როცა მსახურმა ქალმა გამაფრთხილა — ეს ქალთა საპირფარეშოაო. არა! არა! ჩემნაირი ქმარი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება.

ამ ფიქრებში გართულმა მამაჩემის მაღაზიას მივაღწიე. ეს მაღაზია საეკლესიო საქონლით ვაჭრობს. მამაჩემი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მუდამ პირმომღიმარი კაცია. ჩავუარე საქონლით სავსე ყუთებს და მამაჩემის ადგილსამყოფელისაკენ გავწიე. ის, ჩვეულებისამებრ, რაღაცას ანგარიშობდა.

— აგნესამ მიმატოვა, — ჩავჩურჩულე მამაჩემს.

მამამ თავი ასწია და ღიმილით მითხრა:

— თანაგიგრძნობ, ჩემო ბიჭუნი, მაგრამ რით გიშველო?

— მაინც რატომ მიმატოვა? — ვიყვირე მე.

— ალფრედო, ნუ ხარ ასეთი აბეზარი!

ამ დროს მაღაზიაში ვიღაცეები შემოვიდნენ და მამამ იმათ მიაშურა. მე მისგან მეტს აღარაფერს ველოდი და ქუჩაში გამოვედი. მივხვდი, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ საქმეში გამარკვევდა, თვით აგნესა იყო. მეც იმის სახლისკენ გავეშურე. კიბე ავირბინე და დავაკაკუნე. აგნესას მაგიერ სასტუმრო ოთახში დედამისმა მიმიღო. გაოცებული სახით გამოემართა ჩემსკენ და მკითხა აქ რამ მოგიყვანაო?

— თქვენ ძალიან კარგად იცით, რამაც მომიყვანა!

— არაუშავს, ჩემო ბიჭუნი, ასეც ხდება, — მითხრა მან.

მერე გამომცდელად დამაკვირდა და მკითხა:

— თქვენმა მშობლებმა იციან?

— მხოლოდ მამამ.

— მერე რა გითხრა?

„ნეტავ რა ამის საქმეა, რა სთქვა მამაჩემმა?“ — გავიფიქრე გულში და ვუპასუხე:

— ნუ ხარ აბეზარაო, — მითხრა.

— მამათქვენი მართალს ბრძანებს, ჩემო ბიჭუნი, — მითხრა მან.

— არა, მაინც რაშია საქმე? — შევყვირე და მაგიდას ხელი დავკარი. ჩემს დარტყმაზე მაგიდაზე ყვავილების ლარნაკი გადაქანდა. მე გადავწვდი და გავასწორე.

აგნესას დედამ ღიმილით მითხრა:

„ყოჩაღ, ალფრედო, ყვავილები ახლა ზუსტად მაგიდის შუაგულშია. ახლა კი, დროა, მიბრძანდე“.

მინდოდა მეკითხა, სად იყო აგნესა, მაგრამ შევატყვე, რომ აზრი აღარ ჰქონდა მის ნახვას და წამოვედი. მას აქეთ აგნესასთვის თვალიც არსად მომიკრავს. იქნებ, თვითონ შეიგნოს თავისი შეცდომა და დაბრუნდეს? მაგრამ არასგზით არ შემოვუშვებ სახლში, სანამ არ ამიხსნის, რატომ მიმატოვა.

თარგმნა მერი მასხარაშვილმა

# „რაც ერთხელ ცხოვრობს სული დაუჭკნობელის...“

რედაქციაში წერილი მოვიდა, რომლის ავტორი ცხრამეტი წლის ქალიშვილია. იგი გულისტკივილით გვიამბობს ერთ ახლობელ გოგონასა და თავის შესახებ; მათი გარეგნობა მშობლებისა და ნათესავების მსჯელობის საგანი გამხდარა. უფროსთაგან უნებლიეთ შეურაცხყოფილი ბავშვები ნაცნობ მეგობართა წრეშიც კი უხერხულად გრძნობენ თავს.

მოზარდისადმი ასეთი გაუფრთხილებელი მოპყრობა არაეთიკურია და გაუმართლებელი. მოდი, შევიხედოთ მათ შინაგან სამყაროში, გავითვალისწინოთ მოზარდის ასაკისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური თავისებურებანი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვს ფანტასტიკური სურვილები ამოძრავებს, მისი ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია. ამიტომ წერდა ბავშვის ფსიქოლოგიის საუკეთესო მკვლევარი შ. ბიულერი: ზღაპარს ბავშვივით მოცისფრო-მომწვანო და უმწიკლო თვალები აქვსო. და მართლაც, რა მშვენიერია ამ თვალებით ხილული ქვეყანა! ამ ასაკის ბავშვის ყურადღება მთლიანად გარეთაა მიმართული და არ შეუძლია საკუთარი „მე-ს“ დახასიათება, იგი უძლურია ჩაიხედოს სულში და შეიცნოს იგი. სასკოლო ასაკიდან, როცა უკვე გავლილია ზღაპრის პერიოდი და ყურადღებას რეალური სამყარო, მასში მიმდინარე კანონზომიერი მოვლენები იზიდავს, მხოლოდ ამ დროიდან თანდათან ახერხებს იგი საკუთარი „მე-ს“ შეცნობას და სხვა ადამიანების ქცევის ანალიზს.

12-16 წელი ფსიქოლოგიაში მოზარდობის ასაკითაა ცნობილი. სხვანაირად მას გარდამავალ ან გარდატეხის ასაკსაც უწოდებენ. ამ დროს მოზარდის სხეულსა და სულში საოცარი ცვლილებები ხდება. უკვე შეიმჩნევა, რომ მოზარდი მოწიფულობის პერიოდშია. ირღვევა სიმეტრია, გრძელდება კიდურები, იცვლება სახის ნაკვთები, ხმის ტემბრი (შესაძლებელია, ამ ასაკში ლამაზი ბავშვიც კი დაუშნოვდეს, რაც დროებითია). უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვი შინაგანადაც იცვლება. თითქოს გაფრინდნენ ლამაზი დღეები, მოზარდი ემშვიდობება ბავშვობას და უფრო დაკვირვებული ხედვით, ინტელექტით გამოირჩევა. გარშემო მისთვის ზღაპრის პერსონაჟების არენა აღარაა, იგი წვდება მოვლენათაშორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, ადამიანის სიცოცხლის აზრსა და მიზანს, საკუთარ თავს სხვებთან მიმართებაში აყენებს და შინაგანი მსჯელობის საგნად ხდის: ვინ არის ის? როგორი გარეგნობა აქვს? რა უნარი მოეპოვება? უკვირდება სხეულის ყოველ ნაწილს, ხშირად იხედება სარკეში. მოზარდი განსაკუთრებული თვითცნობიერებითა და მოზღვავებული მგრძნობიარობით ხასიათდება, თითქოს ახლა პირველად აღმოაჩინა საკუთარი თავი და ადამიანები; ახდენს ძველი შეხედულებების კრიტიკულ გადაფასებას. შესაძლებელია, იმან, ვინც ადრე ავტორიტეტად მიაჩნდა, ღირებულება დაკარგოს მის თვალში, და — პირიქით. იგი თვითდაჯერებულია და საკუთარი თვალსაზრისი სწორად მიაჩნია. „მე-ს“ ამაღლება და მისი ღირსების დაცვა მოზარდის ცხოვრებისეული ძირითადი მოთხოვნილება ხდება.

გარდამავალ ასაკში მშობლებს განსაკუთრებული სიფრთხილე და ტაქტი მართებთ, რადგან ამ პერიოდში ყალიბდება და მტკიცდება პიროვნულად ღირებული თვისებები და სოციალურ განწყობათა მატარებელი სუბიექტი. ზოგი მშობელი ისევ ძველებურად ექცევა თავმოყვარე მოზარდს, უხეშად და მოურიდებლად კიცხავს სხვების თანდასწრებით, არაფრად მიაჩნია მოზარდის სწორი შეხედულებანი და აზრები. ყოველივე ამის შედეგად მასში დაუკმაყოფილებელი და უარყოფითი განცდები ისადგურებენ და გრძნობათა სადინარი სხვადასხვა მიმართულებით მიედინება. ზოგი ინტიმური აზრების გასაზიარებლად მეგობარს ეძიებს, ზოგს კი დღიურებსა და ლექსებში გადააქვს თავისი განცდები.

ყოველი დედა კარგად უნდა იცნობდეს შვილის სულს, — ანდა რად უნდა იყვნენ განსხვავებულნი? ისინი ხომ ოდესღაც ერთი სხეულის ნაწილებს წარმოადგენდნენ.

მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება ჩვენი წერილის ავტორი. მას ულამაზო ტუჩები ჰქონია და ეს გაუხდიათ საკამათოდ. „ვის გავს? — ეს კითხვა ჩემი დაუძინებელი მტერი გახდა, პასუხი კი მით უარესი, — არავის. რა კარგი იყო ბავშვობისას. ეს სიტყვები გონებას მიხვრეტდნენ და მაიძულებდნენ მეფიქრა ჩემს გარეგნობაზე, რომელმაც მთელი ბავშვობა გამიმწარა“. სტრიქონები ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებს, — ადამიანები უხეშად შეიჭრნენ გოგონას სულიერ სამყაროში, შეეხნენ იმას, რასაც მხოლოდ დუმილი შეესატყვისებოდა.

იგივე ქალიშვილი ერთი წვეულების ამბავს აგვიწერს: „ოჯახში ორი გოგონა იზრდება. უფროსი მე-8 კლასშია, უმცროსი ექვსი წლისაა. უფროსი გამაღლებულა, სახე და ცხვირი უშნოდ ჩამოგრძელებია, პატარა კი ლამაზია, ხალისიანი თვალები უშმაკურად უციმციმებს. როგორც ზოგიერთ ოჯახში ჩვეულებადაა მიღებული, დაიწყეს ბავშვების გარეგნობის შემოწმება. სასწორი პატარისაკენ გადაიხარა. დაიწყეს კამათი: ვის გავდა უფროსი გოგონა? მამა დეიდას ამსგავსებდა, დედა — მამიდას. გოგონას სახე წამოუწითლდა, თვალები ცრემლებით აევსო და და მეორე ოთახში გავიდა“.

ბავშვის გარეგნობაზე საუბარი და ყურადღების გამახვილება, განსაკუთრებით — მისი თანდასწრებით, ყოვლად დაუშვებელია. თუ ლამაზია ბავშვი, შესაძლებელია ყოყოჩა გავხადოთ, ხოლო, თუ ულამაზოა, სულიერი ტკივილი მივაყენოთ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ყოველ დედას უყვარს თავისი შვილი, როგორი გარეგნობისაც უნდა იყოს იგი, მაგრამ ზემოთ დასახელებულმა უტაქტო მოპყრობამ შეიძლება დებს შორის სამუდამო შური ჩამოაგდოს. ზოგჯერ ავიწყდებათ მშობლებს, რომ სწორედ ბავშვობაში გადატანილი ფსიქიკური ტრამვები უდევს საფუძვლად სხვადასხვა სახის დაავადებას.

საკუთარ გარეგნობას არა მარტო მოზარდობის ასაკში, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე აქცევს ადამიანი ყურადღებას. თითოეულს სურს, რაც შეიძლება მომხიბვლელად და სასიამოვნოდ გამოიყურებოდეს. სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ ადამიანი ყველაზე მეტად თავის სახესა და სახელთანაა დაკავშირებული.

ლამაზი გარეგნობა უთუოდ მომხიბლავია, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურ, სოციალურ ურთიერთობებში გარეგნობას გადამწყვეტი ღირებულება არა აქვს. თუ მშვენიერ გარეგნულ ფორმას ადამიანური შინაარსი არ მოეპოვება, ფორმა იკარგება. ყოველი ჩვენგანი მეგობრად ვირჩევთ ადამიანს, რომელთანაც მეტი სულიერი კავშირი, საერთო ინტერესი და შეხედულებები გვაქვს. ასეთი, შესაძლოა, ამოჩნდეს როგორც ლამაზი, ისე ულამაზო ადამიანი. გარეგნულად გონჯი ეზოპეს ბრძნულმა იგავებმა საუკუნეებს გაუძლო. მან მეტი სულიერი ღირებულება მისცა ადამიანებს, ვიდრე მისი რომელიმე თანამედროვის სილამაზემ. ერთ-ერთი ფსიქოლოგის შრომაში ვკითხულობთ: „ის მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულია საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ერთგვარად განსაზღვრული სოციალურ-კულტურული გარემოთი. დაბალი კულტურის წრეში იგი შემოფარგლულია სპეციფიკური ქვალიტეტებით: სილამაზე, ღონე, სითამამე. მაღალი კულტურის წრეში კი — ზოგად ადამიანური ქვალიტეტებით: ინტელიგენტობა, ხასიათი და სხვა“. მართლაც, ჩვენს ეპოქაში ადამიანი მისი საქმიანობითა და საზოგადოებისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით ფასდება.

**ჟუჟუნა ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მანდილის“ გადაცემა



ჩვენი ჟურნალის 1971 წლის № 12-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს ქალთა საბჭოების რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და ჟიურის გადაწყვეტილება: ოთხი წლის (1968-1971 წ.) მაჩვენებლებით ჯილდო „ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მანდილი“ მინიჭებოდა თბილისის, ზუგდიდისა და ფოთის საქალაქო და თელავის რაიონულ ქალთა საბჭოებს. ამასთან ერთად, უმეტესად აღნიშნული საბჭო დაჯილდოვდა საბჭოთა ქალების კომიტეტის სიგელით, ხოლო მათი თავმჯდომარეები ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით. სიგელები მიენიჭა, აგრეთვე, რესპუბლიკის კიდევ რამდენიმე ქალთა საბჭოს და მათ თავმჯდომარეებს, ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს მდივანს ნელი კოპალეიშვილს, რესპუბლიკის ქალთა აქტივის რამდენიმე წევრს...

შეკრება გახსნა და კონკურსში გამარჯვებულთ გულმხურვალედ მიესალმა ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნათელა ვასაძე.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა „მანდილი“ და საბჭოთა ქალების კომიტეტის სიგელი გადასცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნინო ჟვანიას. საბჭოთა ქალების კომიტეტის სიგელი გადაეცა, აგრეთვე, თბილისის კალინინის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვენერა მეგრელიშვილს. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ რუსთავის საქალაქო ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლეილა ლორთქიფანიძე, აჭარის პროფსაბჭოს მდივანი, საოლქო ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გუგული კიკნაძე, ზუგდიდის საქალაქო ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თამარ ქუჩულორია და დედაქალაქის ღირსეული წარმომადგენლები: ვერიკო ანჯაფარიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, აკაკი ძიძიგური, ვასო გოძიაშვილი, იოსებ ნონეშვილი, გელა ბანძელაძე და სხვები.

იქვე გამოცხადდა, რომ თელავის, ზუგდიდისა და ფოთის ქალთა საბჭოებს ჯილდოები გადაეცემათ ადგილებზე. და აი...

### თელავი

...თეატრი. სცენის სიღრმეში, მუსლინის ფარდის მიღმა, მაღალ პოსტამენტზე ქართული აკვანი ირწევა. ახალგაზრდა დედა „იავნანას“ უმღერის აკვანში ჩაკრულ ყრმას. პრეზიდიუმში სხედან დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები: საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს მდივანი — ამხ. ნელი გურგენიძე, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი და პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მირცა კალანდაძე, რესპუბლიკური ქალთა საბჭოს ვეტერანთა სექციის თავმჯდომარე ამხ. ოლია საბაშვილი, თელავის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები...

საზეიმო სხდომას ხსნის თელავის რაიონულ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე დარეჯან ბოჭორიძე. მიკროფონთან ერთმანეთს სცვლიან III საშუალო სკოლის დირექტორი მართა კეცლიშვილი, პედაგოგი ნინო კუხიანიძე, სამამულო ომის მონაწილე — ექიმი რუსუდან აბულაძე, მოსწავლე მერი მამუკელაშვილი, მსახიობი თინა ბურბუთაშვილი და სხვები...

მ. ბარათაშვილმა დ. ბოჭორიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა დამსახურებული „მანდილი“ და საჩუქარი.

საქ. პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ნ. გურგენიძემ საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის, გმირი კოსმონავტის ვ. ტერეშკოვას ხელმოწერილი სიგელები გადასცა ამხ. მედეა მეზვრიშვილს და მ. ბარათაშვილს.

რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ დედებს მიესალმნენ თელაველი პიონერები.

ზეიმი დასრულდა დიდი კონცერტით.

### ზუგდიდი

...პიონერთა სასახლის შესასვლელს ამშვენებს ლამაზი წარწერა „მანდილი ჩვენთანაა!“ ყვავილებით დამშვენებული დარბაზი სავსეა ქალაქისა და რაიონის მშრომელებით. მეჩონგურეთა ანსამბლი ასრულებს ტკბილ, მეგრულ ნანას...

პრეზიდიუმში სხედან თბილისიდან და ყაზბეგიდან (ყაზბეგისა და ზუგდიდის ქალთა საბჭოებს შემოქმედებითი შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული) ჩამოსული სტუმრები, ქალთა აქტივი.

საზეიმო კრებას ხსნის ზუგდიდის საქალაქო ქალთა საბჭოს წევრი როზა ჯიქია.

მ. ბარათაშვილმა „მანდილი“, საბჭოთა ქალების კომიტეტის სიგელი და ფასიანი საჩუქრები გადასცა ზუგდიდის საქალაქო ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თამარ ქუჩულორიას. სიგელი გადაეცა აგრეთვე, ზუგდიდის რაიონულ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნარგიზა კალანდიას.

ამხ. თ. ქუჩულორიამ ვიმპელები გადასცა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დათვალიერებაზე გამარჯვებულთ: მექანიკური კომბინატისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქალთა საბჭოების თავმჯდომარეებს ნინო ოყუჯავას და ევგენია ბუკიას და განაცხადა, რომ საკონსერვო ქარხნის, ჩაის საწნეხი ფაბრიკის, ყრუმუნჯთა წამოწყების და II საშუალო სკოლის ქალთა საბჭოების თავმჯდომარეები: ოლია გამსახურდია, ცაცა დარასელია, ანია სტეფანია და ლენა გულუა შეტანილნი არიან ზუგდიდის ქალთა შორის მუშაობის მატიანეში.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე ქირია, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ჭითანავა, საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომი-

ტეტის მდივანი ლია ნადარეიშვილი, ქ. ზუგდიდის აღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე მეუნარგია, ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ქალთა საბჭოების თავმჯდომარეები: ნინო ოყუჯავა, შურა პატარაია, ბაბულია ფიფიძე, რესპუბლიკური ქალთა საბჭოს ვეტერანთა სექციის თავმჯდომარე ო. საბაშვილი და საქართველოს კპ ყაზბეგის რაიკომთან არსებული ქალთა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ღუდუშაური.

საზეიმო შეკრებას მიესალმნენ ზუგდიდელი პიონერები.

## ფოთი

...კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე დარბაზი. აქ შეკრებილან: ფოთის ქალთა აქტივი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისიდან, ყაზბეგიდან და ზუგდიდიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო შეკრება გახსნა და ფოთის საქალაქო ქალთა საბჭოს მუშაობასა და მის მომავალ ამოცანებზე ილაპარაკა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ქეთევან კვაჭაძემ.

მ. ბარათაშვილმა ქ. კვაჭაძეს გულმხურვალედ მისალმებასა და მილოცვასთან ერთად გადასცა „მანდილი", საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის სიგელი და ფასიანი საჩუქრები.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ემზარ კიკიანი, ალექსანდრა აბდუშელიშვილი, ელენე ჩოფიკაშვილი (რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე), ზეინაბ ცანავა, ო. საბაშვილი, თ. ქუჩულორია და სხვები.

საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნინო ლაკიამ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპატიო სიგელი გადასცა ფოთის საქალაქო ქალთა საბჭოს.

დასასრულს ზეიმის მონაწილეებს უჩვენეს ვ. გუნიას სახელობის ფოთის საერთაშორისო დრამატიული თეატრის ახალი დადგმა, თ. ჭილაძის „დავიწყებული ამბავი".

...და ყველა ამ საზეიმო შეკრებაზე იყო დიდი ლაპარაკი იმ დიდ და უანგარო საქმიანობაზე, რომელსაც ეწევიან ჩვენი შესანიშნავი ქალები, თავისი წარმოება-დაწესებულების, კუთხის, სოფლის, ქალაქის კეთილმოწყობისათვის, ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დასვენებისათვის, იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ზრდა-ამაღლებისათვის, მათი შვილების აღზრდისა და ოჯახების ზრდა-განმტკიცებისათვის; ზრუნავენ ომში დაღუპულთა და მრავალშვილიანთა ოჯახებზე, რევოლუციის, სამამულო ომისა თუ შრომის ვეტერანებზე; ილწვიან ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის ფონდის გაძლიერებისათვის...

ამგვარად, ბრძოლა „მანდილისათვის" — ესაა ბრძოლა და შრომა დიდი, პატრიოტული, კეთილშობილური, რისთვისაც მადლიერი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით აჯილდოებს თავის საამაყო ქალებს.

შეჯიბრება გრძელდება...

# ჩვენი საოჯახო კლუბი

დღეიდან ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება სტატიების ციკლი კოსმეტიკის შესახებ, სადაც დაწვრილებით გაგაცნობთ, როგორი მოვლა სჭირდება მშრალ, ცხიმიან თუ ნორმალურ კანს ზაფხულსა და ზამთარში. გამოცდილი ექიმი — კოსმეტოლოგები მოგვაწვდიან რჩევას თმის, ყელისა და ხელების მოვლის თაობაზე, გვასწავლიან, როგორ მოვიცილოთ ჭორფლი, ლაქები და სახის კანის სხვა კოსმეტიკური დეფექტი. აქვე დავბეჭდავთ ტანვარჯიშის სხვადასხვა კომპლექსებს. ერთი სიტყვით, გაგიმხელთ ყველა იმ საიდუმლოებას, რაც ქალს ეხმარება ახალგაზრდობის დიდხანს შენარჩუნებაში.

„სილამაზის ინსტიტუტს" უხელმძღვანელებს პროფესორი ლუბა შეწირული.

## სილამაზის ინსტიტუტი

ყოველ ადამიანს სურს ფიზიკურად ლამაზი იყოს. გარეგნული სილამაზე კი უშუალოდ არის დაკავშირებული ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე და, პირველ რიგში, სახის კანის მდგომარეობაზე. კანი ორგანიზმის გარეგანი საფარველია, რომელზეც, განსაკუთრებით მის ღია ნაწილებზე — სახეზე, კისერზე, ხელებსა და ქვედა კიდურებზე სისტემატურად მოქმედებენ გარემოს სხვადასხვა ფაქტორები — მზის სხივები, სიცხე, სიცივე, ტენიანობა, წვიმა, ქარი, მტვერი, ქიმიური საშუალებები და სხვა. განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენს კანზე ალკოჰოლი და ნიკოტინი. ამათი სისტემატური მიღება არღვევს საკვების მონელებას და ზოგიერთი შინაგანი ორგანოებისა და სისტემების ფუნქციის მოშლას იწვევს. კანი დუნე და ავადმყოფური შესახედაობის ხდება. ცხვირსა და ლოყებზე სისხლის მილები განივრდება და კანი წითლდება. ჩვეულებრივ კი, კანი სუფთა და ელასტიური უნდა იყოს.

კანის ზედაპირზე გამუდმებით ჩნდება კანის საფარველის რქოვანა გარსის მკვდარი უჯრედების, ოფლისა და ცხიმის ფენა. მასზე ილექება მტვერი, ჭვარტლი და სხვა





უსუფთაობა, რომელიც ავსებს კანის ფორებს, აფერხებს მის ნორმალურ ფუნქციას. ეს კი, შეიძლება, კანის სხვადასხვა დაავადების მიზეზი გახდეს.

მხოლოდ ჯანსაღ, ქორფა და მოქნილ კანს შეუძლია კარგად შეასრულოს თავისი რთული სასიცოცხლო ფუნქციები. მაგრამ კანი რომ ასეთი იყოს, საჭიროა მისი სისტემატური მოვლა.

მთავარი კანის სისუფთავის დაცვაა. წყალი არა მარტო ასუფთავებს კანს, არამედ მოქმედებს მის მრავალრიცხოვან ნერვულ დაბოლოებებზე და საერთო ტონიზაციას და ამხნევებს იწვევს. ზაფხულში დილით კარგია გრილი შხაპი, შემდეგ კი — კანის მასაჟი. ტანის დასაბანად ისარგებლეთ ტუალეტის საპნით: სპერმაცეტის, კოსმეტიკური, ლანოლინის, „რუსკი ლეს" და სხვა. ცხელი წყალი ადუნებს კანს და, საერთოდ, ორგანიზმს, ამიტომ ის მხოლოდ დასაბანად უნდა გამოიყენოთ. ბანაობის შემდეგ კი გრილი წყალი გადაივლეთ. წრთობისათვის განსაკუთრებით კარგია ე. წ. „შოტლანდიური შხაპი", ანუ ცივი და ცხელი წყლის მონაცვლეობა. ეს შხაპი სახის კანის ჭარბცხიმიანობისას ყოველდღიურად უნდა მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრალი კანის დასაბანად კი ნიადაგ გრილი წყლით უნდა ისარგებლოთ, რადგან ცხელი წყალი კანს კიდევ უფრო აშრობს.

კვირაში ორჯერ კარგია გრილი აბაზანის მიღება წიწვის ექსტრაქტიანი ან ზღვის მარილიანი წყლით. ასეთი აბაზანა ახალისებს ორგანიზმს და ამაგრებს ნერვიულ სისტემას. მშრალი კანის დასარბილებლად წყალს ბურა (2-3 ხუფრის კოვზი აბაზანაზე), ქატო, ცაცხვისა და გვირილის ყვავილები უნდა დაემატოს (აბაზანაში ბანდის ნაჭერში შეხვეული). სხეულის ღია ნაწილები ყოველდღიურად უნდა დაიბანოთ. თუ ჭარბი ოფლიანობა გაწუხებთ, დაბანის შემდეგ წაისვით ტუალეტის ძმარი, მუხის ქერქის სახარში, ლოსიონი „ფინიში", „ჰიგიენა", ან 5% ბორის ხსნარი.

წყლისა და საპნის გადაჭარბებული გამოყენება, არასრულფასოვანი კვება, დეკორატიული კოსმეტიკური საშუალებების არასწორი ხმარება, მზეზე და ქარში ან ყინვაში დიდ ხანს ყოფნა კანს აშრობს. დაბანის შემდეგ გამშრალი კანი იქერცლება და იჭიმება, ზოგჯერ, კანის ძლიერი სიმშრალის დროს კი წითელი ლაქები და ქავილიც ჩნდება. ამიტომ თუ კანი მშრალია, წყლისა და საპნის გამოყენება უნდა შეიზღუდოს და ზოგჯერ სრულიად შეწყდეს კიდეც. დასაბანად იხმარეთ დარბილებული წყალი — 1 ჭიქა წყალს დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი რძე. რძე კანზე დამამშვიდებლად მოქმედებს.

კანის ნერვულ-რეცეპტორული აპარატი ზოგჯერ გარემოდან მომდინარე გამაღიზიანებლებს სხვადასხვა ხარისხით აღიქვამს, ეს ნერვული სისტემის საერთო მდგომარეობით არის გაპირობებული. ზოგჯერ კანი ვეღარ იტანს ვერც საპონს, ვერც წყალს და ვერც სხვა ჰიგიენურ საშუალებას. ეს კანის მგრძნობელობის მომატების მაჩვენებელია და აუცილებელი ხდება სათანადო მკურნალობის ჩატარება. თუ წყალი კანს აღიზიანებს, სახეს წყლით კი ნუღარ დაიბანთ, არამედ გაისუფთავეთ თხელი კრემით („ბარხატნი", „უტრო"), ნუშის რძით, ნუშის, ატმის, ზეითუნის ან სხვა ზეთით. ოჯახურ პირობებში, კანის გასასუფთავებლად შეიძლება მოვამზადოთ $^1/_2$ ჭიქა არაყის, 1 კვერცხის გულის, $^1/_2$ ლიმონის წვენის, $^1/_3$ ჭიქა არყისა და ჩაის კოვზი გლიცერინის ნარევი. ეს ნარევი მაცივარში დიდხანს ინახება, კანს კარგად ასუფთავებს, არბილებს და ათეთრებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ: ზოგი ქალი, კანის დარბილების მიზნით, გლიცერინს ან ვაზელინს ხმარობს, ეს კი კანს კიდევ უფრო აშრობს!

შესანიშნავად მოქმედებს სახის კანზე ფიზკულტურა და სპორტი, თუ კი ის ექიმისგან აკრძალული არ გაქვთ კანის სისტემატური ჰიგიენური და კოსმეტიკური მოვლა უზრუნველყოფს მისი ახალგაზრდობის ხანგრძლივ შენარჩუნებას.

**ლუბა შიჭირული**

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი,

## პედიატრიის ანბანი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ირაკლი ფაღავა

# აპენდიციტი

მწვავე აპენდიციტი ანუ ბრმა ნაწლავის ჭიაყელა წანაზარდის ანთება ყველაზე გავრცელებული ქირურგიული დაავადებაა, ბავშვთა სტაციონარებში გადაუდებელ ოპერაციათა 40-60% სწორედ აპენდიციტზე მოდის. დიაგნოზური შეცდომებიც ყველაზე ხშირად ასევე აპენდიციტთან არის დაკავშირებული. ეს, ერთი მხრივ, იმითაც არის გამოწვეული, რომ აპენდიციტი მოზარდებში, მათი ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურების გამო, თავისებურად მიმდინარეობს.

ჭიაყელა ნაწლავის ანთება სერიოზული და ვერაგი დაავადებაა. ავადმყოფი ბავშვის ბინაზე შეფერხებას და რამდენიმე საათით ოპერაციის დაგვიანებას შეიძლება მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს.

აპენდიციტით ავად ხდებიან ყველა ასაკის ბავშვები, მათ შორის ახალშობილებიც (მსოფლიო ლიტერატურაში აღწერილია ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა ასაკში აპენდიციტის 1000-ზე მეტი შემთხვევა და ამასთან 80 პროცენტს ოპერაციის დროს აღმოაჩნდა პერფორაციული ფორმა, საერთოდ კი ერთ წლამდე ასაკში აპენდიციტი შედარებით იშვიათია — საკვების თავისებური ხასიათისა და ჭიაყელა ნაწლავის ლორწოვანი გარსის ფოლიკულების განუვითარებლობის გამო. 1 წლის ასაკიდან მწვავე აპენდიციტით ავადობა თანდათან მატულობს: სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით, ბაგის ასაკზე სამ წლამდე მოდის 5,5%, სკოლამდელზე (4-7 წელი) —13% და სკოლის ასაკზე (8-14 წელი) — 81,5%.

ბავშვთა ასაკში მწვავე აპენდიციტის გართულებული ფორმები გვხვდება შემთხვევათა 80 პროცენტში. მუცლის ფარის დაბალი პლასტიკურობა და განუვითარებელი ბადექონი ვერ უზრუნველყოფენ მუცლის ღრუში ანთებადი პროცესის შემოსაზღვრას.

მწვავე აპენდიციტის დასაწყისი და მიმდინარეობა ბავშვთა ასაკში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ბავშვი მოუსვენარი ხდება, უარს ამბობს საჭმელზე, უჩივის მუცელში ტკივილს, დასაწყისში ტკივილი მუდმივი, მწიწკნადი ხასიათისაა და ვრცელდება მთელ მუცელზე, ირადიაციით ჭიპის არეში. შემდეგ კი ტკივილი მარჯვენა თეძოს ფოსოში იყრის თავს. ტკივილი განსაკუთრებით ძლიერია დაავადების პირველ საათებში. ტკივილს თან სდევს გულისრევა, პირღებინება (უფრო ხშირად — ერთჯერადი ან ორჯერადი). როგორც წესი, დაავადება მიმდინარეობს 37,2-38° ტემპერატურით. ენა ოდნავ შელესილია, მოთეთრო ნადებით.

მუცლის კედლის გასინჯვისას შეიგრძნობა კუნთების დაჭიმვა და მტკივნეულობა მარჯვენა თეძოს ფოსოს არეში. სისხლში მომატებულია ლეიკოციტების რაოდენობა, ნეიტროფილების მარცხნივ გადახრით.

მწვავე აპენდიციტის კლინიკური სურათი ყოველთვის ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, ჭიაყელა ნაწლავის მდებარეობაზე, ანთებადი პროცესის სიმძიმეზე, დაავადების ხანგრძლივობაზე, ორგანიზმის რეაქციულობაზე და ა. შ. ბავშვებში ანთებადი პროცესი ჭიაყელა ნაწლავიდან მუცლის ფარზე შედარებით უფრო სწრაფად, რამდენიმე საათში ვრცელდება. მაგრამ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა პირველ ხანებში ნაკლებად იცვლება.

პროცესის სიმძიმეზე მიუთითებს მაჯის სიხშირესა და ტემპერატურას შორის შეფარდების დარღვევა: 37-37,5° ტემპერატურის დროს მაჯის ცემა მკვეთრად ხშირდება — წუთში 120-130 მდე.

პატარა ბავშვის (3 წლამდე) ორგანიზმი ჭიაყელა ნაწლავის ანთებას თავისებურად პასუხობს — პირველ ხანებში ზოგადი ხასიათის ცვლილებები ჭარბობს ადგილობრივს, ტემპერატურა აღწევს 39-40°, ღებინება ხშირია, ხშირია ნაწლავთა მოქმედებაც. ამ ასაკში აპენდიციტს შეიძლება ჰქონდეს ორფაზიანი მიმდინარეობა: შეტევას, რამდენიმე საათის შემდეგ მოჰყვეს ე. წ. მოჩვენებითი კეთილდღეობა, შემდეგ კი ისევ განმეორდეს ტკივილები. თვითნებური ტკივილების განმეორება ხშირად თანხვდება ჭიაყელა ნაწლავის პერფორაციას (გასკდომა). მწვავე აპენდიციტი განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაავადებულია წითელათი, ქუნთრუშით ან სხვა ინფექციური სნეულებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებში მსგავსი სურათი შეიძლება მოგვცეს მრავალმა დაავადებამ (მუცელში ტკივილი ანგინისა და ადენოვირუსული ინფექციის დროს; ასევე ასკარიდოზის, პლევროპნევმონიის, გასტრო-ენტერიტის, დიზენტერიის, რევმატიზმის, კაპილაროტოქსიკოზისა და სხვათა დროს).

გარდა მწვავე აპენდიციტისა, არსებობს ჭიაყელა ნაწლავის ქრონიკული ანთებაც, რომელიც ვითარდება მწვავე შეტევის შემდგომ. თუ დიაგნოზი ვერ დაისვა და ოპერაცია არ გაკეთდა, ქრონიკული აპენდიციტი ხასიათდება პერიოდულად შეტევითი ხასიათის ტკივილებით მუცელში, ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებით, საერთო სისუსტით. გასინჯვისას ყურადღებას იპყრობს ზომიერად გამოხატული მტკივნეულობა მარჯვენა თეძოს ფოსოში.

აპენდიციტის მკურნალობა ქირურგიულია. მწვავე მიმდინარეობის დროს აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია.

მშობლებო, გახსოვდეთ, რომ ბავშვები ყველაზე უფრო ხშირად მუცელში ტკივილს უჩივიან. თუ მუცლის ტკივილი 1-2 საათზე მეტ ხანს გრძელდება, თან გულის რევა და ღებინება ახლავს, ეს სერიოზულ დაავადებაზე მიუთითებს. ნუ დაუწყებთ ამ დროს ბავშვს შინაურ მკურნალობას, ნუ მისცემთ საფაღარათოს და ნუ გაუკეთებთ გამწმენდ ოყნას. დაუყოვნებლივ აჩვენეთ ავადმყოფი ექიმს. მხოლოდ ექიმს შეუძლია გაერკვეს ტკივილების მიზეზებში და მიიღოს სათანადო ზომები.

**შ. ხარბედია,**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიასახლისის გამოცდილება

### ჩანახი

ჩანახი თითო ულუფად მზადდება თიხის ჯამებში. 10 გრ ცხვრის ან საქონლის ხორცი წვრილად დავჭრათ და თიხის ჯამში ჩავყაროთ, დავაყაროთ 2 ცალი დაჭრილი ბადრიჯანი, 2 ცალი შუაზე გაჭრილი კარტოფილი, 1 თავი დაკეპილი ხახვი. სულ ზევიდან მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, მწვანე წიწაკა, ამის ზევით კი დავაწყოთ 4 ცალი შუაზე გაჭრილი პამიდორი და 3 კბილი ნიორი. გემოვნებით ვუყოთ მარილი. და შევდგათ ბაერლუმელში. ხორცი რომ მოიხარშება, ჩანახი მზადაა.

### ფითი

თიხის ქილაში ან ქოთანში ჩავყაროთ 20-30 მარცვალი ხმელი მუხუდო, ჩავდოთ 120 გრამი ცხვრის ან საქონლის ხორცი, 2 ცალი ოთხად გაჭრილი კარტოფილი, 1 თავი შუაში გაჭრილი ხახვი, ნიახური, ქინძი, ოხრახუში, ნიორი, წიწაკა და მარილი გემოვნებით. დავასხათ დარჩენილი ხორცისაგან ან ძვლებისაგან მოხარშული ბულიონი, იმდენი, რომ დაფაროს, შევდგათ ბაერლუმელში და მოვხარშოთ.

გილი ლაშხი

თბილისი

### კარტოფილიანი ხაჭაპური

1 კგ კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენით და კარგად დასრისეთ. შეურიეთ $^1/_2$ კგ ჭყინტი ყველი (ყველი ძალიან ჭყინტი უნდა იყოს, მისი პატარა ნაჭერი გახურებულ ტაფაზე რომ დადოთ, ძაფივით უნდა გაიწელოს). ყველი და კარტოფილი ერთად კარგად აურიეთ, უყავით გემოვნებით მარილი, ჩაატანეთ მოზელილ ცომში და გამოაცხეთ ჩვეულებრივ. სუფრაზე ცხლად მიიტანეთ.

### კარტოფილის „შუშა"

1-2 კგ კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენით და დასრისეთ. უყავით ცოტა მარილი, აზილეთ 1 კგ ძალიან ჭყინტ ყველთან ერთად. ქვაბში აადუღეთ 1 ჭიქა წყალი, შიგ ჩაუმატეთ ეს მასა, რამდენიმე წუთს გააჩერეთ ცეცხლზე, შემდეგ კარგად აურიეთ და ცხლად მიიტანეთ სუფრაზე.

ამ კერძში ჭყინტი ყველი შეგიძლიათ სულგუნით შეცვალოთ.

### ლემბრი

ამ კერძისთვის ფქვილს წინასწარ ამზადებენ და, აი, როგორ: რამდენიმე კილოგრამ სიმინდის მარცვალს ან ხორბალს მოხარშავენ, ამოიღებენ საწურზე, შემდეგ კი მზეზე გაშლიან. კარგად გაახმობენ, წისქვილში დაფქვავენ, გაცრიან და ისე შეინახავენ. შემდეგ ამ ფქვილით სახელდახელოდ გემრიელი კერძი მზადდება.

1 ჭიქა ფქვილს აურევენ 1 კგ ჭყინტ ყველში, ლამაზად გამოაგუნდავებენ და კერძი მზადაა, ასევე ერთ ჭიქა მაწონში ჩაუმატებენ 1-2 სუფრის კოვზ ფქვილს და ძალიან გემრიელია საჭმელად.

ფქვილის მოსამზადებლად კი ბაერლუმელში მოხალული მარცვალიც გამოდგება.

### ქუმფასი

ღორის გასუფთავებული შიგანი მოვწალოთ, ღვიძლისა და კუჭის გარდა, და ძალიან წვრილად დავკეპოთ. ბოლოდ ვუყოთ ასევე დაკეპილი ხახვი, ნიორი, ოხრახუში, ცოტა — ქონდარი, კამა, ქინძი, რეჰანი, დანაყილი ზაფრანა; პილპილი და მარილი — გემოვნებით.

ცალკე მოვხარშოთ 100 გრ ბრინჯი და შევურიოთ გამზადებულ მასალას. ბრინჯის მაგივრად შეიძლება 200-300 გრ ჭყინტი ყველი.

ყველაფერი ეს ერთად ავზილოთ და ამ მასალით გამოვტენოთ შუაში გაჭრილი და ძალიან კარგად გარეცხილ-გასუფთავებული კუჭი. შემდეგ კუჭი ძაფით ამოვკეროთ და მოვხარშოთ. შევინახოთ გრილად. ასე მომზადებული კუჭი კარგია საგზლად. ხოლო თუ ოჯახში მიირთმევთ, წინასწარ დაჭერით და ტაფაზე გააცხელეთ.

ასეთი წესით შემზადებული კარგია ხბოს ფაშვიც, გოჭის შიგნეულიც. გამზადებულ შიგნეულით გოჭს მუცელი ამოუვსეთ, ამოუკერეთ და ისე შეწვით.

თამარ გადრანი

მესტიის რაიონი, ჭუბერი, სოფელი ყარსგურიში.

### ნიგვზიანი მწვანე პამიდორი

5 კგ მწვანე პამიდორი გავრეცხოთ ცივ ანადუღარ წყალში, გავაშროთ, დავჭრათ ალყა-ალყად და მოვაყაროთ მარილი. 2 საათის შემდეგ კვლავ გავრეცხოთ ცივ გადადუღებულ წყალში და მაგრად გავწუროთ.

3-4 ცალი ლიმონი გავწუროთ, 1 ჭიქა ცივ ანადუღარ წყალში გავაზავოთ და დავასხათ წვრილად დაჭრილ 2 კგ ხახვს ისე, რომ ხახვი დაიფაროს. 2-3 საათის შემდეგ სითხე გადმოვწუროთ და ამ წვენში გავხსნათ გამზადებული, ცივ ანადუღარ წყალში გარეცხილი და წვრილად დაკეპილი 3 კონა მწვანე ქინძი და 3 კონა ოხრახუში. აგრეთვე ცალკ-ცალკე დანაყილი 3-4 ცალი წიწაკა, ვაყოლოთ 4 ცალი დაფნის ფოთოლი და 150 გრ ნიორი, გემოვნებით — მიხაკ-დარიჩინი, ზაფრანა შევურიოთ ერთმანეთს, ჩარილი (გემოვნებით).

600 გრ ნიგოზი დავნაყოთ ან საკეპ მანქანაში გავატაროთ. (ნაყვის დროს ნახევარი თავი ხახვიც დავუმატოთ, რომ ზეთის გამოხდა გაადვილდეს), შევზილოთ კარგად და გამოვხადოთ ზეთი, დაახლოებით 1 ჩაის ჭიქაზე მეტი. ნარჩენი ნიგვზის მასა ხახვთან, საკმაზთან და პამიდორთან ერთად ავურიოთ, მჭიდროდ ჩავტენოთ ქილებში, ზემოდან მოვასხათ ზეთი, თავი მოვუკრათ და შევინახოთ სიგრილეში.

ლიმონის წვენის მაგივრად შეიძლება ძმარიც ვიხმაროთ, ასეთი შეზავებით: $^1/_2$ ბოთლი გადმოდუღებული ძმარი 1 ჭიქა ანადუღარ ცივ წყალზე. გასტერილება საჭირო არაა.

თამარ რუსია,

სამტრედია

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ „ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ", ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ, ᲡᲐᲚᲛᲔ ᲠᲐᲣᲜᲐᲛᲘᲡ ᲥᲔᲓᲣᲠᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ „ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: Ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, Მ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ (პ. მგ. მდივანი), Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲡᲘᲠᲐᲫᲔ, Ქ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ, Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (მხატ. რედაქტორი), Თ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი    კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის—99-71-68. განყოფილებების —99-50-39. მხატვრული რედაქტორის—93-98-57, საქმეთა მმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 22/VIII-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^1/_8$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 123.260.    შეკვ. 2838.    უე 02017.    ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

1973 წელს ახალი გეგმებით ეგებება ჩვენი რედაქცია:

ჟურნალის ფურცლებზე კვლავაც დიდი ყურადღება დაეთმობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკების ცხოვრების, შრომისა და მიღწევების ამსახველ წერილებს, ნარკვევებს, რეპორტაჟებს, მეცნიერების უახლეს პრობლემებს, მსოფლიოს ქალთა მოძრაობასა და ინტერნაციონალურ მეგობრობას. ცნობილი მწერლები გვპირდებიან ახალ ლექსებსა და მოთხრობებს. მკითხველები იხილავენ მხატვართა ახალი ნამუშევრების რეპროდუქციებს და გაეცნობიან ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკთა შემოქმედებით ბიოგრაფიებს.

რედაქციაში შემოდის მრავალი წერილი ოჯახის წევრთა ურთიერთ დამოკიდებულებასა თუ სხვადასხვა მტკივნეულ საკითხებზე. მათ შორის ყველაზე საინტერესოს, რედაქცია კვლავინდებურად გამოიტანს თქვენს სამსჯავროზე. გრძელდება ქალთა საბჭოების შეჯიბრება „მანდილის“ მოსაპოვებლად. ჟურნალი კვლავაც გამოაქვეყნებს ამ შეჯიბრების შედეგებს.

ვფიქრობთ, თქვენთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გაგაცნობთ ჩვენი რედაქციის სტუმრებს, მოგითხრობთ ჩვენს საინტერესო შეკრებებსა და შეხვედრებზე.

ჩვენი ჟურნალის საოჯახო კლუბი გთავაზობთ ახალ განყოფილებას — „თანამედროვე ინტერიერი“, სადაც სისტემატურად დაიბეჭდება არქიტექტორის რჩევები ბინის მოწყობის თაობაზე.

მუშაობას განაგრძობს ახლახან ჩამოყალიბებული „სილამაზის ინსტიტუტი“. ამ განყოფილებაში რესპუბლიკის საუკეთესო ექიმი კოსმეტოლოგები მოგვაწვდიან წერილებს კოსმეტიკის სხვადასხვა საკითხებზე.

„პედიატრიის ანბანი“ და „აღზრდის ხელოვნება“ — ტრადიციულად განაგრძობენ საუბარს ბავშვთა მოვლა-აღზრდის შესახებ.

საექიმო და პრაქტიკული რჩევები, კულინარია, მოდა — აი, ჩვენი „საოჯახო კლუბის ამოუწურავი სასაუბრო“.

და კიდევ ერთი სიახლე, რაც უსათუოდ გაახარებს ჭრა-კერვის მოყვარულთ: 1973 წლის იანვრიდან ჟურნალ „საქართველოს ქალს“ სისტემატურად დაერთვის ჩანართი ტანსაცმლის თარგებით.



ИНДЕКС 76178